გაზეთი ბოევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№79 (974) 23 - 24 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

თბილისის აეროპორტთან ამერიკული ჰოსპიტალი გაიხსნება

კლინიკას „თიბისი ჯგუფი“, კომპანია „კონტი“ და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი „აიეტი“ ააშენებს

გვ. 7

თიბისი ბანკი
TBC BANK

რომელ საქმეებს გამოიძიებენ მსოფლიო პროკურორები

გვ. 3

საკვაშვილს, ადეიშვილს, კეზერაშვილს საქართველოში ჩამოიყვანენ და გაასამართლებენ?

პროკურატურამ მძიმე არტილერია ჩართო!

საკადრო ცვლილებები საქართველოს მთავრობაში

გვ. 2

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის განახლებული შემადგენლობა დაასახელა

„მომავალი მთავრობის ბედი მარგველაშვილის ხელშია!“

გვ. 5

რა შემთხვევაში შეუძლია პრეზიდენტს თანამდებობიდან პრემიერის გადაყენება

არჩევნებზე არმისვლა დაისჯება?!

გვ. 6

წერილი ვანო მერაბიშვილს

„ობშიაკისთვის“ თავგანწირული მაყურებლის ისტორია

პატიმრის დღიური

გვ. 8

საკადრო ცვლილებები საქართველოს მთავრობაში

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის განახლებული შემადგენლობა დაასახელა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, 22 ივლისს, მთავრობის კანცელარიაში, მინისტრთა კაბინეტის განახლებული შემადგენლობა დაასახელა. სოფლის მეურნეობის მინისტრად ოთარ დანელია, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრად დავით შავლიაშვილი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე გელა დუმბაძე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პოსტზე ელგუჯა ხოკრიშვილი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების მინისტრად სოზარ სუბარი, ხოლო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრად გიორგი მღებრიშვილი დასახელდნენ. რაც შეეხება კულტურის მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ამ საკითხზე კონსულტაციები მიმდინარეობს.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე ოთარ დანელიას კანდიდატურა წარადგინა, რომელიც ამავე სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ოთარ დანელია პროფესიით იურისტია, რომელსაც მართვის ევროპული სკოლა აქვს დამთავრებული. მომავალმა მინისტრმა განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღო. ოთარ დანელია საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სპეციალისტია. ღარიბაშვილის განმარტებით, მას მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და კარგი მენეჯერია.

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრად, ირაკლი ღარიბაშვილმა პროფესიით სამართალმცოდნის, დავით შავლოხაშვილის კანდიდატურა დაასახელა. მომავალი მინისტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და მენეჯმენტის საერთაშორისო კურსებიც გავლილი აქვს. აქამდე, დავით შავლოხაშვილი საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ მუშაობდა და, როგორც ღარიბაშვილმა დაახასიათა, წარმატებით უძღვებოდა ამ საქმეს.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად დასახელებული გელა დუმბაძე, განათლებით ფილოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მან საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაშიც მიიღო განათლება, საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, ხელმძღვანელობდა კულტურული მემკვიდრეობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს. ღარიბაშვილის განმარტებით, მომავალ მინისტრს დიპლომატიურ სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, რომელიც დიპლომატიური რანგით, უფროსი მრჩეველია.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად დასახელებული ელგუჯა ხოკრიშვილი, ამ ცვლილებამდე ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი იყო. ელგუჯა ხოკრიშვილი ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასევე ბიზნესისა და ეკონომიკის მაგისტრია. განათლება გერმანიაში მიიღო, რომელსაც სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების მინისტრის პოსტზე, ირაკლი ღარიბაშვილმა სოზარ სუბარის კანდიდატურა დაასახელა. სუბარი პროფესიით ისტორიკოსია, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დიდი გამოცდილება აქვს. მომავალი მინისტრი 2009 წლიდან, გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩეველთა საბჭოს წევრია. წარდგენისას, ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარებათა მინისტრის პოსტზე, სოზარ სუბარმა მართლაც უდიდესი შრომა გასწია. ღარიბაშვილის განცხადებით, სუბარს უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო და ამ ურთულეს სფეროს თავი კარგად გაართვა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრად გიორგი მღებრიშვილის კანდიდატურა დასახელდა. მომავალი მინისტრი პროფესიით იურისტი, სამართალმცოდნეა. მუშაობდა ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, სხვადასხვა თანამდებობაზე. წარდგენამდე, გიორგი მღებრიშვილი ქვემო ქართლში სახელმწიფოს რწმუნებული იყო.

„რაც შეეხება კულტურის მინისტრს, ვიცი, ამასთან დაკავშირებით დიდი ინტერესია საზოგადოებაში. ეს ერთ-ერთი, ძალიან საპასუხისმგებლო სამინისტროა და მინისტრს განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით ვარჩევთ. კონსულტაციებს რამდენიმე კანდიდატურასთან დაკავშირებით ვმართავთ და სავარაუდოდ, 23 ივლისს, დილით წარმოგიდგენთ კულტურის მინისტრის კანდიდატურას. მთავრობის განახლებულ შემადგენლობას პრეზიდენტს იმ დღესვე გადავუგზავნით, რათა შემდგომი პროცედურები დაიწყოს“, — განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს ეფექტური მთავრობა ჰყავს, ეს განახლება კი იმას ემსახურება, აღამასრულებელი გუნდი კიდევ უფრო ეფექტური იყოს. ღარიბაშვილის განცხადებით, თუ რომელიმე უწყებაში დღემდე ხარვეზები დაფიქსირდა, საკადრო ცვლილებები ხელს შეუწყობს, ისინი მაქსიმალურად მოკლე დროში გამოსწორდეს.

მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებამდე, პრემიერ-მინისტრმა 20 ივლისს, საბჭოს სხდომა გამართა, სადაც მთავრობის წევრები მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ გააფრთხილა. 21 ივლისს, მთავრობის კანცელარიაში 7 მინისტრი თანამდებობიდან გაათავისუფლა, უფრო კონკრეტულად კი ხუთი მინისტრი მოხსნა, ხოლო ორი — ელგუჯა ხოკრიშვილი და სოზარ სუბარი სხვა უწყებებში გადაანაცვლა. საკადრო ცვლილებები პრემიერ-მინისტრმა ასე განმარტა:

„ბოლო ორი თვის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ მოხდა. პირველ რიგში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას გამოვყოფდი. ახლახან ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. პირველად საქართველოს ისტორიაში, დემოკრატიულად გავმართეთ მეორე ტურის არჩევნები და ეს ტესტიც წარმატებით ჩავაბარეთ. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საქართველოს მოსახლეობის სრული ნდობა აქვს. მოვიპოვეთ გამარჯვება მთელ საქართველოში და ჩვენი ვალდებულებაა, ეს უდიდესი ნდობა გავამართლოთ. იმისთვის, რომ ყველა დანაპირები და დასახული ამოცანა შევასრულოთ, გაორმაგებული ენერგია სჭირდება. ამიტომ მიმაჩნია, სხვა რეჟიმში უნდა გადავიდეთ. აქედან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები შევიტანო“.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, კულტურის მინისტრის პოსტზე ალექსანდრე მარგიშვილისა და ეროვნული მუზეუმის დირექტორის, დავით ლორთქიფანიძის კანდიდატურები განიხილება. ალექსანდრე მარგიშვილი, როგორც მინისტრის პირველი მოადგილე, ამ დრომდე მინისტრის მოვალეობას ასრულებს. მთავრობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, საქართველოს პარლამენტში მომავალ კვირას იმსჯელებენ.

დავით ნარმანია მერიის სამსახურებს მოუწოდებს, არ დაარღვიონ კანონი

თბილისის არჩეული მერი, მერიის სამსახურებს მიმართავს, ნუ მოახდენენ საქმიანობის პარალიზებას, იმუშაონ ჩვეულ რეჟიმში და ემსახურონ დედაქალაქისა და მისი მაცხოვრებლების ინტერესებს: **„ბოლო დღეებში, თბილისის მერიის გარკვეული სამსახურები და მათი ხელმძღვანელები მოქალაქეებსა და დაინტერესებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს აწვდიან არასწორ ინფორმაციას, თითქოს სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად უნდა მიმართონ თბილისის არჩეულ მერს, დავით ნარმანიასა და მის ადმინისტრაციას. ეს ქმედება, სავარაუდოდ, განპირობებულია პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მოტივით. მერიის სამსახურების ხელოვნური პარალიზებით, პირველ რიგში, ზარალდებიან თბილისელები, რომლებიც დედაქალაქის თვითმმართველობის სტრუქტურებს კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის თხოვნით მიმართავენ.**

ადგილობრივი თვითმმართველობისა და საარჩევნო კოდექსის თანახმად, თბილისის ახლადარჩეულ მერს მოვალეობების შესრულების უფლება მხოლოდ მისი უფლებამოსილების ცნობის შემდეგ უჩნდება. საქართველოს კანონმდებლობით, ახალი მერის უფლებამოსილების ცნობამდე, არსებული ვიცე-მერები, თბილისის მთავრობა და მთავრობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ვალდებულნი არიან, ჩვეულ რეჟიმში განაგრძონ მუშაობა და კეთილსინდისიერად შეასრულონ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობები.

მოვუწოდებთ მერიის ყველა სამსახურს, არ დაარღვიონ კანონი, ნუ მოახდენენ საქმიანობის პარალიზებას, იმუშაონ ჩვეულ რეჟიმში და ემსახურონ დედაქალაქისა და მისი მაცხოვრებლების ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ამგვარი ქმედება შეფასდება პასუხისმგებლობისგან თავის არიდებისა და საბოტაჟის მცდელობად“.

„პირველი“



თურქულმა მხარემ ოშკის სარესტავრაციო პროექტი მოამზადა

ხელოვნებათმცოდნე ირინე გივიაშვილის ინფორმაციით, თურქულმა მხარემ ოშკის ტაძრის სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო პროექტები მოამზადა. გივიაშვილი საქართველოს კულტურის სამინისტროდან იმ ჯგუფის წევრი იყო, რომელიც იშხნის ტაძრის რეაბილიტაციას მეთვალყურეობდა. მისი თქმით, ოშკის სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო პროექტების განხილვა უკვე მიმდინარეობს და საჩქაროა, მასში ქართული მხარე ჩაერთოს: **„დროა, მოვითხოვოთ ამ პროექტის განხილვა ქართველ ექსპერტთა მონაწილეობით. შემდეგ დაიწყება ოშკის ტაძრის რეაბილიტაცია, თუმცა კონკრეტული დრო ჯერ უცნობია. ეს დამოკიდებულია ორ ქვეყანას შორის საერთო კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზეც. თუ ამაში არ ვმონაწილეობთ, თურქული მხარე თვითონ გადაწყვეტს, როდის დაიწყოს რესტავრაცია და ინფორმაციაც შეზღუდულად გვექნება“.**

ხელოვნებათმცოდნის თქმით, საერთო კულტურის ძეგლების რესტავრაცია-აღდგენის შესახებ საქართველოსა და თურქეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება განსაზღვრავს რა პასუხისმგებლობას აიღებს ქართული და თურქული მხარეები საკუთარი თუ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საერთო მემკვიდრეობის დაცვაზე. თურქული მხარე ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ, ახალციხის მედრესეზე უხეში ჩარევის გამოსწორებას მოითხოვს და ასევე აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას.

„ინტერპრესნიუსი“

რომელ საქმეებს გამოიძიებენ მსოფლიო პროკურორები

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქართული საზოგადოების მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იყო. მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა, ნაციონალების 9-წლიანი პარპაშის დასრულების შემდეგ, ახალი ხელისუფლებისგან მათი საგმირო საქმეების გამოაშკარავებასა და სააკაშვილის „დამნაშავე“ თანაპარტიელების სათანადოდ დასჯას ითხოვდა. მერაბიშვილი-ახალაია-უგულავას დაპატიმრება, იმ ადამიანებისთვის, ვინც თავს წინა ხელისუფლების რეჟიმის მსხვერპლად მიიჩნევს, არც საკმარისია და არც შვება. ასეთი ადამიანების რიცხვი კი, როგორც ირკვევა, საქართველოში ძალიან დიდია. სავარაუდოდ, ვრცელია „დამნაშავე ნაციონალების“ სიაც და შესაბამისად, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა, დღემდე მოთხოვნად რჩება. ხალხის არც ის მოლოდინი გამართლდა, რომელიც გახმაურებული საქმეების გამოძიებას უკავშირდებოდა, თუმცა ამასაც თავისი მიზეზი აქვს — ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები და სამართალდამცავები აცხადებენ, 2 წელიწადში ყველა საქმის სრულფასოვანი გამოძიება, დამნაშავეების დადგენა და მათი სათანადოდ დასჯა ფიზიკურად შეუძლებელიაო. ამ ლოგიკის მიუხედავად, გაუხსნელი გახმაურებული საქმეების ფონზე, საზოგადოება პროკურატურას დღემდე მიიჩნევს ახალი მთავრობის სუსტ რგოლად — ბობოლა ნაციონალებს შესაბამის საქმეებზე შესაბამისი მტკიცებულებებიც კი ვერ დაუდესო. უკვე უმცირესობაში გადაბარგებული ნაციონალებიც აცხადებენ, გამოძიებას საკმარისი მტკიცებულებები თუ არ აქვს, რატომ გვიბარებენ პროკურატურაში, რატომ აპატიმრებენ ჩვენ თანამებრძოლებს, ეს პოლიტიკური დევნაა.

პოლიტიკური დევნა თუ სრულფასოვანი გამოძიება? ეს კითხვა ალბათ ბევრს აღარ დაებადება მას შემდეგ, რაც შეიტყობს, რომ საქართველოში, პროკურატურის მოწვევით, უცხოელი, ყოფილი პროკურორები ჩამოვიდნენ. მათ წარსულში თავის ქვეყნების სამართლადამცავ ორგანოებში მაღალი თანამდებობები ეკავათ, ყოფილი სახელმწიფო მოხელეების გახმაურებულ საქმეებს უძღვებოდნენ და საერთაშორისო ტრიბუნალების საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები. საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით: **„მთავარი პროკურატურა გეგმავს, მოწვეული სპეციალისტებისგან კონსულტანტთა ჯგუფი დააკომპლექტოს, რათა მაქსიმალურად გაგვიზიარონ გამოცდილება და გავითვალისწინოთ რეკომენდაციები. ეს მნიშვნელოვანია მაღალი თანამდებობის პირების საქმეების გამოძიების წარმოების და პროცესის გამჭვირვალობის საერთაშორისო სტანდარტების ამაღლებისათვის. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქართველოს პროკურატურის ახალ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას“.**

საქართველოს მთავარ პროკურატურაში, სერ ჯეფრი ნაისის, პოლ კაფისა და მოშე ლადორის გამოცდილებას გაიზიარებენ. სამივე მათგანის სახელს მსოფლიო კარგად იცნობს. ისინი საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროკურორები არიან. სერ ჯეფრი ნაისი (Sir Geoffrey Nice) 1998-2006 წლებში იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პროკურორის მოადგილე იყო და პირადად უძღვებოდა სერბეთის ყოფილი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის საქმეს. ნაისი ასევე იყო ასადის რეჟიმის დანაშაულებათა გამომძიებელი, სერ დეზმონდ დე სილვასა და დევიდ კრეინთან ერთად კი, 2014 წელს გამოცემული საერთაშორისო ანგარიშის ავტორია, რომელიც სირიაში დაკავებულთა წამებისა და სიკვდილით დასჯის ფაქტებს ეხება. ამჟამად იგი პერიოდულად მუშაობს მოსამართლედ და ლონდონის გრეშამის კოლეჯის სამართლის პროფესორია.

მოშე ლადორი (Moshe Lador) 2013 წლის ბოლომდე ისრაელის სახელმწიფო პროკურორი გახლდათ. თანამდებობაზე ყოფნისას ზედამხედველობდა არაერთი პოლიტიკოსის წინააღმდეგ აღძრულ და გამოძიებულ საქმეებს, რომელთა შორისაც იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ეჰუდ ოლმერტისა და მაშინდელი ფინანსთა მინისტრის ჰირჩსონის საქმეც. ამ თანამდებობის დაკავებამდე მოშე ლადორი იყო იერუსალიმის მთავარი პროკურორი.

პოლ კაფი (Paul Coffey), აშშ-ს ყოფილი „მთავარი გამომძიებელი“, იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი დირექტორი გახლავთ. თავის დროზე მუშაობდა კოსოვოს კონფლიქტში ომის დანაშაულების გამოძიებაზე. საჯარო სამსახურიდან წასვლის შემდეგ, იგი გაერო-ს მისიით იმყოფებოდა კოსოვოში. პოლ კაფი აქტიურად მონაწილეობდა კოსოვოს იუსტიციის სისტემის რეფორმაში, ასევე ზედამხედველობდა გაერო-ს მიერ კოსოვოში წარმოებულ ყველა საქმეს, მათ შორის, ომის დანაშაულთა გამოძიებას.

კითხვა, რატომ მოიწვია ამ დონის სპეციალისტები საქართველომ, ალბათ რიტორიკულად გაჟღერდება, რადგან მკითხველის უმეტესობას სხვა ლოგიკური კითხვა გაუჩნდება: აქამდე სად იყო პროკურატურა?! როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! — საქართველოსთვის არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენაა აუცილებელი, არამედ ამ სამართლიანობის აღდგენის ლეგიტიმაციის ჩვენებაც მსოფლიოსთვის. ეს იმისთვის, ნაციონალური მოძრაობის ნარჩენებს მიზეზი არ დარჩეთ დასავლეთში საკუთარი თავის „პოლიტიკური დევნის მსხვერპლად“ წარმოსაჩენად.

უკვე დასმულ კითხვებზე საინტერესო, ალბათ ისაა, კონკრეტულად რომელ საქმეებს გამოიძიებენ მსოფლიო პროკურორები? ისინი რომ უბრალო, რიგით საქმეზე არ გასვრიან ხელს, ცხადია. ამ დონის სპეციალისტების საქართველოში ჩამოყვანა პირდაპირ მოითხოვს პროკურატურისგან „ნაცების რეჟიმის“ მთავარი ფიგურანტების — სააკაშვილის, ადეიშვილისა და კეზერაშვილის ჩამოყვანასაც. მათ გარეშე დანაშაულის მანქანის სქემა არასრული იქნება, მით უმეტეს, საამისოდ საკმარისზე მეტი მიზეზია.

მხოლოდ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საიდუმლო ბუღალტერიიდან ამოღებული დოკუმენტებიც კი კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს პრეზიდენტი თუ არ ჯობნიდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა კორუფციაში, სახელმწიფო სახსრების გაფლანგვასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ ისრაელის პრემიერ ექუდ ოლმერტს. მხოლოდ 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევებია საკმარისი, რომ ექსპრეზიდენტი პასუხისგებაში მიეცეს საკუთარი ერისადმი დაუნდობელი, ცინიკური და არაადამიანური მიდგომისთვის. მხოლოდ წართმეულ ბიზნესებზე შემოტანილი საჩივრები კმარა, რომ ადეიშვილი განსასჯელთა სკამზე ვიხილოთ და მხოლოდ კეზერაშვილის ბიზნესიმპერიის ჩამონათვალია საკმარისი, ფინანსური პოლიციის ყოფილი შეფი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი გასამართლდეს.

ჩამოიყვანენ თუ არა სააკაშვილს, ადეიშვილსა და კეზერაშვილს საქართველოში საბრალდებო სკამზე დასასმელად, მომავალი გვიჩვენებს. დღეს, მხოლოდ ის შეგვიძლია, ლოგიკურ გზას გავყვეთ და მსგავსი პროგნოზი გავაკეთოთ. ან ის ვთქვათ, რომ სამი მძიმეწონიანი სპეციალისტის ჩამოყვანა საქართველოში იმის სიგნალია, რომ მთავრობამ ერთ ერთი მთავარი დაპირების ხორცშესხმა დაიწყო — მთავარმა პროკურატურამ მძიმე არტილერია ჩართო!

ანა მგელაძე

გამოცდების ეროვნული ცენტრი

საგრანტო დაფინანსებისთვის, შარშანდელთან შედარებით, 145 ათასი ლარით მეტი გამოიყო

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, საგრანტო დაფინანსებისთვის წელს გამოყოფილია 9 165 000 ლარი, რაც შარშანდელზე 145 ათასი ლარით მეტია: **„გარდა ამისა, უფასო (სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ) საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა 1200-ზე მეტი ადგილი. შესაბამისად, წელს 5000-ზე მეტ აბიტურიენტს აქვს შესაძლებლობა, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის შემთხვევაში, საბაკალავრო პროგრამაზე ყოველგვარი გადასახადის გარეშე ისწავლოს“.**

გამოცდების ცენტრისვე ინფორმაციით, 2013 წელს სრული ან ნაწილობრივი გრანტი მიიღო 6642-მა აბიტურიენტმა. ამასთან, უფასო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოყოფილი იყო 3795 ადგილი.

სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალის გაცნობა აბიტურიენტებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე შეუძლიათ.

„პირველი“



შინაგან საქმეთა სამინისტრო ძალადობის წინააღმდეგ

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს აქტიურ ბრძოლას ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და მზადაა, არსებული რესურსით და საზოგადოების მხარდაჭერით, კვლავ განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები ამ მიმართულებით.

აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით შესწავლილია 13 საქმე, რომელიც შეიცავდა ოჯახში ძალადობის შედეგად ჩადენილ მკვლელობებს. აქედან – მკვლელობის ჩადენამდე მხოლოდ ერთ ოჯახში იყო გამოძახებული პოლიცია. მკვლელთაგან 4 აღმოჩნდა ნასამართლევი: 2 პირი – მკვლელობის მცდელობისთვის, 1 პირი – სხეულის დაზიანებისა და ხულიგნობისთვის და 1 პირი – ხულიგნობისთვის და ნარკოტიკების მოხმარებისთვის.

შსს-ს თანამშრომლებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე დაგეგმილია ტრენინგები, რომლებიც ორ ეტაპად ჩატარდება. აღნიშნულ ტრენინგებს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საუბნო განყოფილებიდან 452 უბნის ინსპექტორი გაივლის. თითოეული განყოფილებიდან წარმოდგენილი იქნება 2 თანამშრომელი: ერთი მამაკაცი და ერთი ქალი. ტრენინგების პირველი ეტაპი 46 საუბნო განყოფილების 92 უბნის ინსპექტორისთვის თბილისში გაიმართება. ტრენინგების მეორე ეტაპი 10 სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების 180 განყოფილების 360 უბნის ინსპექტორისთვის გაიმართება.

უბნის ინსპექტორებს დაევალებათ არა მარტო კონკრეტულ ფაქტზე რეაგირება, არამედ კონფლიქტური ოჯახების პერიოდული კონტროლი და საერთო ანალიზი.

საქართველოს შს მინისტრის 1079 ბრძანებაში (შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ) შევიდა ცვლილება, რომლითაც უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს და უბნის ინსპექტორ-გამომძიებელს შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების შევსების უფლებამოსილება მიეცა. აქამდე აღნიშნული უფლებამოსილება ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებს არ ჰქონდათ იმ ტერიტორიებზე, სადაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო არეალი იყო.

სამოქალაქო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავების და გაფართოების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ქალთა უფლებებსა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პერმანენტული შეხვედრების ორგანიზებას.

საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილია საინფორმაციო კამპანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, მომზადდება საინფორმაციო ვიდეორგოლები, რომლებიც სატელევიზიო და რადიოეთერში, ასევე სოციალურ ქსელებში განთავსდება.

„ვერსიანიუსი“

„ახალი მემარჯვენეების“ ბრძოლა გადარჩენისთვის

რაფომ დაუდგა პარტიას არსებობის პრობლემა, ნანობს თუ არა კუკავასთან გაერთიანებას და გაემიჯნება თუ არა პოლიტიკურ პროცესებს ფიქრია ჩიხრაძე

ერუსუდან შელია
557-100-768

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა 7 მინისტრი შეცვალა, პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე ფუნდამენტურ ცვლილებებს არ ელის. ამბობს, რომ კოალიციის ლიდერები ამ ნაბიჯით მხოლოდ საზოგადოებაში განწყობის შეცვლას ცდილობენ, მმართველობის კურსი კი შენარჩუნდება. სამთავრობო ცვლილებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს, „ვერსიასთან“ ფიქრია ჩიხრაძე აფასებს.

— ქვეყანაში უამრავი პრობლემა დაგროვდა, რაც არჩევნების შედეგებზეც შესაბამისად აისახა. ხელისუფლებაც გამოწვევის წინაშე დადგა — გუნდში ცვლილებები უნდა დაწყებულიყო. სტრატეგიული ხაზი და მიმართულებები მაინც უცვლელია, თანამდებობიდან კი მხოლოდ ის მინისტრები გაათავისუფლეს, რომლებიც მმართველი გუნდის პოლიტიკაზე გავლენას ადრეც ვერ ახდენდნენ.

— ანუ თქვენც ფიქრობთ, რომ პრემიერმა თანამდებობიდან „უპატრონო მინისტრები“ გაათავისუფლა?

— არ ვიცი, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ვინ ვის პატრონობს, თუმცა, როგორც ჩანს, ვიღაცას კონკრეტული პერსონები არ სიამოვნებდა. არ მაქვს მოლოდინი, რომ თუნდაც გარემოს დაცვის სფეროში ახალი მინისტრი ჰესებთან მიმართებაში ხელისუფლების პოლიტიკას შეცვლის, ან კულტურის სამინისტროში საყდრისი-ყაჩაღიანის თემაზე გადაწყვეტილებას შეცვლიან; შესაძლოა, სამთავრობო გუნდში ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდეს, მაგრამ ამ ეტაპზე შვიდი მინისტრის გათავისუფლება მოედანზე მხოლოდ ახალი პერსონების შემოყვანის მცდელობას ჰგავს.

— რომელი მინისტრების გათავისუფლება გააჯანსაღებდა პრობლემებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას?

— მნიშვნელოვანი პრობლემებია ეკონომიკური მიმართულებით, ფინანსურ სისტემაში, თუმცა ხელმძღვანელები პოსტს ინარჩუნებენ. ჩანს, ნაწილობრივი ცვლილებით არჩევნების შედეგების შემდეგ საზოგადოებაში განწყობის შეცვლას ცდილობენ.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები განსაკუთრებით თქვენი პარტიისთვის აღმოჩნდა გადამწყვეტი — კვალიფიციური სუბიექტი აღარ ხართ, შესაბამისად, სახელმწიფოდან დაფინანსებასაც ვერ მიიღებთ, რისი პრობლემაც აქამდე არასოდეს შეგქმნიათ.

— არჩევნებზე დაფიქსირებული შედეგები ჩვენთვის მოულოდნელი იყო არა იმიტომ, რომ საკუთარ თავზე არარეალისტური წარმოდგენა გვქონდა. დიდი ხანია პოლიტიკაში ვართ და საზოგადოების განწყობას ყოველთვის ვგრძნობთ. ახლაც, ჩანდა, მოსახლეობა ხელისუფლებით იმედგაცრუებულია. თავდაპირველად ვიფიქრეთ, რადგანაც საქართველოს მასშტაბით ადგილობრივ არჩევნებზე ამომრჩევლის საკმაოდ დაბალი აქტივობა დაფიქსირდა, ჩვენი პარტიის მხარდამჭერებსაც საარჩევნო უბანზე მოსვლის მოტივაცია არ გაუჩნდათ, თუმცა, როგორც კი ხელში პირველი ოქმები ჩაგვივარდა, მივხვდით, ქვეყანაში არჩევნების გაყალბების კიდევ ერთი მეთოდი ამუშავდა — ბევრი გაბათილებული ბიულეტენი. განსაკუთრებით ახალქალაქში, სადაც ძლიერი კანდიდატი და გუნდი გვყავდა. პასუხი ვერც ერთ დარღვევაზე მივიღეთ. თანაც საოლქო კომისიას ის პირი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ახალქალაქში არჩევნები 2012 წელს ჩაატარა. ჩანს, ყველა ხელისუფლებას გამყალბებლების არმია სჭირდება! კონკრეტულად ახალქალაქში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ორჯერ მეტი ბიულეტენი გაბათილდა. რა მოხდა? სტატისტიკა არ იცნობს პროტესტის ფორმას, როცა ამდენი ადამიანი არჩევნებზე მხოლოდ ბიულეტენის გასაფუჭებლად მიდის. ბარიერის გადასალახად 0,7% დაგვაკლდა, რისთვისაც მხოლოდ ახალქალაქში დაკარგული ხმები იქნებოდა საკმარისი.

— ანუ თქვენი მხარდამჭერების ხმებს მიზანმიმართულად აყალბებდნენ?

— ჩვენთვის არაერთხელ უთქვამთ, რომ ხელისუფლებისგან მოძულებული პარტია ვართ. არჩევნებამდეც, შესაძლო პარტნიორები გვეუბნებოდნენ, თქვენთან ურთიერთობას გვიკრძალავენო. კონკრეტულად პიროვნებებზე ვერ ვისაუბრებ, თავად ილაპარაკონ... არ ვიჯერებდით და გადაჭარბებული გვეგონა, მაგრამ საბოლოოდ, სიმართლე აღმოჩნდა. ამიტომაც ვფიქრობთ, არჩევნებში ჩვენ წინააღმდეგ ყველაფერი მიზანმიმართულად გაკეთდა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებებსაც შეგახსენებთ, სადაც ღიად ჩამოთვალა, ოპოზიციაში ვისი ხილვაც სურდა. ფაქტია, ამ სიაში მოხვედრილ პარტიებს არჩევნებში პრობლემები არ შექმნია. დღეს ხელისუფლებაში მხოლოდ ერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის სურვილი რეალიზდება.

— იქნებ არჩევნების შედეგები პარტიის არასწორმა გადაწყვეტილებებმა განაპირობა? გაერთიანება კახა კუკავასთან, რომლისგანაც რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებზე იყავით, შეცდომა არ იყო?

— კახა კუკავას ყოველთვის პერსპექტიულ პოლიტიკოსად მივიჩნევდი. განწყობა არც დღეს შემცვლია. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ჩვენ შორის განსხვავებული შეხედულებები არსებობდა, პოლიტიკურ ასპარეზზე განსხვავებული ძალების შემოსვლის აუცილებლობა გაჩნდა. ეს არჩევნები გვაძლევდა შესაძლებლობას, ბლოკი მსოფლმხედველობის მიხედვით არ აგვეგო. მხოლოდ ჩაკეტილი წრის გარღვევას შევეცადეთ. კუკავასთან, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მჭიდრო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, რადგან გარკვეულ საკითხებზე ერთობლივი ძალებით ვმუშაობდით. ის ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესო პარტნიორი იყო და განსხვავების კი არა, ერთმანეთთან შეხების წერტილების მოძებნას ვცდილობდით. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ამ შედეგით დასრულდა, ვფიქრობ, ვითარებამ ბრძოლის მეტი მოტივაცია უნდა მოგვცეს.

— თქვენი პარტნიორი კუკავა პოლიტიკურ ველს ტოვებს, თქვენ რა გეგმები გაქვთ?

— ახლა ყველაზე რთული ეტაპი გვიდგას. გასაქანს არასდროს გვაძლევდნენ, თუმცა, ძირითადი ბირთვის შენარჩუნებას ყოველთვის ვახერხებდით. ამ პირობებში დასაყრდენის შენარჩუნებაც პრობლემა ხდება და არსებობა დგება ეჭვქვეშ. მართალია, საერთაშორისო დონეზე საკმაოდ კარგი შეხვედრები ჩავატარეთ და მათი თანადგომისა და დახმარების სურვილიც არსებობს, თუმცა ეს მაინც სხვა ტიპის აქტივობაზეა გათვლილი. რაც შეეხება კუკავას, მას მართლაც დრო სჭირდება, რათა საკუთარ თავში ჩამოყალიბდეს. ჯერ კიდევ არ უთქვამს, რომ პოლიტიკურ პროცესებს საბოლოოდ ემიჯნება. ახლა ისიც გასარკვევია, რა ტიპის უნდა იყოს ოპოზიციური ბრძოლა და რა მოხდება საპარლამენტო არჩევნებისთვის. ამ ყველაფრის გარკვევის პროცესში ვართ.

— ანუ საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებით?

— კუკავასთან პარტნიორობას მომავალშიც ვაპირებთ. იმედი მაქვს, პოლიტიკიდან საბოლოოდ არ წავა. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, არჩევნებიდან არჩევნებამდე გარკვეული პერიოდი უნდა გავიდეს. თანაც სამომავლო გეგმების დასახვამდე, ზოგად პოლიტიკურ ჭრილში არსებული უამრავი ბუნდოვანი საკითხი უნდა გაირკვეს. საგარეო პოლიტიკიდან დაწყებული, ეკონომიკური პრობლემებით დამთავრებული თანამდებობის პირებიც კი არ არიან მზად კითხვებზე კონკრეტული პასუხების გასაცემად. ასე რომ, ჩვენც უფრო დაკვირვებისა და ფიქრის რეჟიმში ვართ.

„ოცნების მონოპოლია“ თბილისის საკრებულოში

რამდენი ფრაქცია შეიქმნა და ვინ დაიკავა მთავარი პოსტები დედაქალაქის მუნიციპალიტეტში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

21 ივლისს საკრებულოს რიგგარეშე და საოცრად მონოტონური სხდომა გაიმართა. „ოცნება“ „ოცნებას“ ირჩევდა, არც ერთ კანდიდატს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, კითხვები და შენიშვნებიც არავის ჰქონია! ერთადერთი, რაც განსხვავებული იყო, სხდომა დაწყებამდე ნაციონალებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს დემონსტრაციულად. ამის მიზეზად უმცირესობის დეპუტატებმა მათი თანაპარტიელისა და საკრებულოს ერთ-ერთი წევრის, ლევან მხეიძის დაკითხვაზე დაბარება დაასახელეს. კერძოდ, საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ალიბეგაშვილს თხოვნით მიმართეს, თუ რაიმე ბერკეტი არსებობს, საგამოძიებო უწყებების მიმართ, გამოიყენეთ, რათა სხვა დროს დეპუტატებს სხდომა დაკითხვის გამო არ გააცდენინონო. მართლაც, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ნაციონალი გამგებლები — თორნიკე ხუციშვილი და ხათუნა ბერძენიშვილი, ასევე საკრებულოს წევრი ლევან მხეიძე და თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე მაია ცენტერაძე დაიბარეს, თუმცა, როგორც „ოცნების“ რამდენიმე დეპუტატმა განაცხადა, რიგგარეშე სხდომის თარიღი მათთვისაც ბოლო მომენტამდე უცნობი იყო და საგამოძიებო ორგანოები ამის გამო ვერავის დაელოდებოდნენ.

რაც შეეხება უშუალოდ სხდომას — თბილისის საკრებულოს, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვანი პოსტი ასარჩევი ჰქონდა. კენჭისყრამ სულ რიხინ-რიხინით ჩაიარა და აბსოლუტურად ყველა პოსტს „ოცნების“ ნაცნობ-უცნობი ლიდერები დაეპატრონნენ. ცნობილი გახდა ისიც, რომ არსებული 13 კომისიიდან, 11-ღა დარჩა, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმებისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიები გაერთიანდა ისევე, როგორც ერთმანეთს შეერწყა ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიები. ამის შემდეგ, საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ განაცხადა, რადგან „ოცნებამ“ დედაქალაქის პრობლემების მოგვარება საკუთარ თავზე აიღო, ჩემი მოადგილეებიც „ოცნებიდან“ უნდა დავასახელოო და გიორგი ტყემალაძის მერე, რომელიც ასევე კოალიციის წევრია, მოადგილედ კიდევ ორი „ოცნებელი“ — გიორგი ახვლედიანი და მალხაზ მჭედლიშვილი აირჩია. 11-ვე კომისიის თავმჯდომარეც „ოცნების“ კოალიციაში შემავალ პარტიათა წევრები გახდნენ: სარევიზიო კომისიას ნუგზარ მალაღურაძე უხელმძღვანელებს, იურიდიულ საკითხთა კომისიას თევდორე კობახიძე ჩაუდგება სათავეში, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ჯაბა სამუშია დაეპატრონა, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია გოჩა ბაბუნაშვილს ერგო. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია ირაკლი ფავლენიშვილმა ჩაიბარა. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიას ლევან დარახველიძე მიხედავს. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას სათავეში ქეთევან ჯოხაძე ჩაუდგება. ადამიანის უფლებათა დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიას გულიკო ზუმბაძე უხელმძღვანელებს; გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარედ შორენა ბუხრაშვილი მოგვევლინა; განათლებისა და კულტურის კომისიის თავი თამარ ტალიაშვილი გახდა. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია კი ლია ჯახველაძეს შეხვდა. იმავე სხდომაზე საკრებულოში 9 ფრაქცია ჩამოყალიბდა და ფრაქციის თავმჯდომარეებიც დამტკიცდა: „ქართული ოცნება — რესპუბლიკელები“, ხათუნა სამნიძით სათავეში; „ქართული ოცნება — საქართველოსთვის“ — რამინა ბერაძით სათავეში; ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორების“ ლიდერი ნინო გოგუაძე იქნება; „ქართული ოცნება — ეროვნული ფორუმისა“ — ავთანდილ დავითაძე. „ქართული ოცნება — მრეწველების“ ფრაქციას ვლადიმერ ძნელაძე უხელმძღვანელებს; „ქართული ოცნება — თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი გიორგი მუსხელიშვილი გახდა. რაც შეეხება ნაციონალებს, ისინი ორ სხვადასხვა ფრაქციად გაიყვნენ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — თბილისის ლიდერი ირაკლი აბესაძე გახდა, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სევდია უგრეხელიძემ ჩაიბარა. ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობა“ ზაზა ვეკუამ ჩაიბარა.

ერთი სიტყვით, „ოცნებაც“ ზუსტად იმ გზას დაადგა, რაზეც ნაციონალებს წლების განმავლობაში უკიჟინებდნენ — საკრებულოში წარმოდგენილი სამი ოპოზიციური პარტიიდან არც ერთ წევრს არც ერთი პოსტი არ ერგო. არადა ეს მაშინ, როცა ახალი მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გიორგი ტყემალაძე ნაციონალების დროსაც ზაალ სამადაშვილის მოადგილე იყო. მოკლედ ასე — საკრებულოში უსამართლობამ იზეიმა და „ვერსიამ“ ვინ იცის უკვე მერამდენედ აღშფოთებული **ალექსანდრე ელისაშვილი** ჩაწერა: **„ქართული ოცნება ძალიან ცუდ პოლიტიკურ კულტურას ამკვიდრებს. ეს ცუდია ქალაქისთვის, ქვეყნისთვის, ხალხისთვის, პარტიებისა და თავად „ოცნებისთვის“. ძალიან სევდიანი რამ მოხდა — ხელისუფლებამ არც ერთი პოსტი არავის დაუთმო, იმის მიუხედავად, რომ არჩევნები 100%-ით ნამდვილად არ მოუგია. დღეს თავი ცუდად წარმოაჩინეს, რადგან ყველგან მარტო საკუთარი ხალხი დანიშნეს. ეს „ოცნებას“ ძალიან ცუდად მოუტრიალდება და იმ პრობლემასთან მიიყვანს, რასთანაც ნაციონალები მივიდნენ. გამოდის, ხელისუფლება ოპოზიციაში პრობლემას ხედავს და სწორედ ასე დაიწყო მიხეილ სააკაშვილმაც!“**

„მომავალი მთავრობის ბედი მარგველაშვილის ხელშია!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

მიმდინარე კვირის მთავარ თემად მინისტრთა კაბინეტში მასშტაბური ცვლილებები იქცა. ორი დღის წინ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 5 მინისტრი მოხსნა და ორიც გადაანაცვლა. შედეგად, მინისტრთა ოცკაციანი კაბინეტის მესამედი შეიცვალა, ახალი მთავრობის ფორმირებას კი კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების ამოქმედება უნდა მოჰყვეს. ამ პროცედურებში გადამწყვეტი როლი უფლებებაყრილ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ეკისრება!

რა შემთხვევაში შეუძლია პრეზიდენტს თანამდებობიდან პრემიერის გადაყენება

კონსტიტუციის მიხედვით, მინისტრთა განახლებული კაბინეტის ფორმირება ღარიბაშვილის ხელთაა. სამაგიეროდ, ეს შემადგენლობა მარგველაშვილმა პარლამენტს თავად უნდა წარუდგინოს და მისთვის ნდობის გამოცხადება სთხოვოს. რატომღაც, მთელ ამ პროცედურულ საკითხებში პრეზიდენტის როლზე არასაკმარისად ითქვა და ქვეყნის პირველი პირი აღბათ, ერთ-ერთი ბოლო იყო „ოცნებაში“, ვინც მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ შეიტყო. მეტიც, მასთან არც კაბინეტის ახალი შემადგენლობა შეთანხმებულა და მარგველაშვილმა მომხდარი, უბრალოდ, ცნობად მიიღო. პრეზიდენტის ინფორმირებულობაზე მთავრობის საპარლამენტო მდივანმა, **შალვა თადუმაძემ** ასეთი განცხადება გააკეთა: **„ყველა საქმის კურსშია, ყველასთან მიმდინარეობს კონსულტაციები. მას შემდეგ, რაც მთავრობის ახალი შემადგენლობა ოფიციალურად გამჟღავნდება, მერე გადაეგზავნება ინფორმაცია პრეზიდენტს“.** ამ განცხადებიდან ცოტა ხანში კი თავად პრეზიდენტმა განაცხადა, კონსულტაციებში არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ პარლამენტს კითხვით უნდა მივმართო, შვიდ მინისტრს რომ ცვლიან, ისეთ მთავრობას თუ ენდობაო: **„ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტი ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დამცველია. შესაბამისად, პარლამენტს ვეკითხები — ამ შემადგენლობას ისევ ენდობა თუ არა? ეს არის ახალი მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადება. საქართველოს კონსტიტუციით, ნდობა ხელახლა უნდა გამოუცხადდეს პრემიერ-მინისტრსაც“.** სწორედ ეს გახდა სადავო ფრაზა, რაც კონსტიტუციის ორ სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაგვარად იკითხება. როცა კაბინეტის მესამედი იცვლება, დგება თუ არა პრემიერ-მინისტრისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადების საკითხი ანუ უნდა გადაგდეს თუ არა პრემიერი ღარიბაშვილი? ამ კითხვით „ვერსიამ“ ექსპერტ **ლევან ალაფიშვილს** მიმართა, რომელიც ამ ჩახლართულ პროცედურას ყველასათვის გასაგებად ხსნის: **„ეს პროცედურა არსებითად განსხვავებულია, ვიდრე ე.წ. თავდაპირველი ნდობის მოპოვება, როცა არჩევნების შემდგომ, მაშინდელი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი სიმბოლურად გადადგა და ნდობის ხელახლა მოსაპოვებლად ისე წარსდგა პარლამენტის წინაშე. ამ შემთხვევაში, ასე არ მოხდება. დღეს პარლამენტს მხოლოდ შეცვლილი გუნდი უნდა წარედგინოს. პარლამენტი პრემიერის მიერ შერჩეულ გუნდს უცხადებს მხარდაჭერას, ასე რომ, პრემიერს ხელახალი დასტური არ სჭირდება. მესმის, ვიღაც ასე ფიქრობს და ეს კონსტიტუციის ხარვეზია. პარლამენტი ან პრეზიდენტი დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ხომ ვერ იღებს, აქ პრემიერზეა ყველაფერი დამოკიდებული. წარმოიდგინეთ, ღარიბაშვილი რომ გადადგეს, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პრემიერის კანდიდატურა პარლამენტს როგორ უნდა წარუდგინოს? ეს ხომ არასწორია. პრემიერის გადასაყენებლად, კანონით, სულ ორი მუხლი მოქმედებს — იმპიჩმენტი ან გადადგომა. გადადგომა რომ დღის წესრიგში არ დგას, ამას ვხედავთ და ღარიბაშვილს იმპიჩმენტს მით უმეტეს, არავინ რომ არ მოუწყობს, ეგეც ვიცით. ასე რომ, ეს საკითხი ამოწურულია“.**

მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა უკვე ცნობილია, ჯერი პრეზიდენტსა და პარლამენტზეა და აქაც ირთვება სხვადასხვა პროცედურული მექანიზმი — ვადები და ახალი კაბინეტის დასამტკიცებელ ხმათა რაოდენობა. ეს კი სადავო თემა არ არის და კონსტიტუციაში ვკითხულობთ:

> **თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი, 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას, ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე 5 დღის ვადაში, დანიშნავს მინისტრებს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას, დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა.**

იმის მიუხედავად, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ვადამდელი არჩევნების თემა სასწრაფოდ გამორიცხა, შემდეგი არჩევნები 2016 წელზე ადრე არ ჩატარდებაო, ამ განცხადების სისრულეში მოყვანა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. სამაგიეროდ, მარგველაშვილი უეცრად დინების საწინააღმდეგოდ რომ წავიდეს და ვთქვათ, პარლამენტი დაითხოვოს, მას თავიდან იმპიჩმენტით ვერ მოიშორებენ და ვერც მის გადაწყვეტილებებს დაადებენ ვეტოს. პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია, მაგრამ მოვლენების ასე დრამატულად განვითარებას არც ლევან ალაფიშვილი ელის: **„იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი საგანგებო სხდომას 7 დღეში არ მოიწვევს, მაშინ კონსტიტუციით, პარლამენტი იგივე დღის წესრიგით, თავად შეიკრიბება 48 საათის განმავლობაში და თავად დაამტკიცებს მთავრობას. გარდა ამისა, არა მგონია, პარლამენტმა ახალ მთავრობას მხარი არ დაუჭიროს, რადგან ღარიბაშვილმა მინისტრები ისე მოხსნა, დარჩენილ კაბინეტში კოალიცია მაინც შეინარჩუნა. ერთადერთი გამონაკლისი „ფორუმის“ წარმომადგენელი მინისტრი, დავით დარახველიძე იყო. ეს საკმაოდ ჭკვიანური გათვლაა, ამიტომ ახალ კაბინეტს პარლამენტი მაინც მხარს დაუჭერს. გარდა ამისა, დრო სწორადაა შერჩეული მინისტრთა ცვლილებისთვისაც. უკვე 3 არჩევნები გავიარეთ, ასე რომ, ვადამდელი არჩევნებისთვის არც ფინანსურად და არც პოლიტიკურად მზად არ ვართ!“**

სამაგიეროდ, მინისტრთა ახალი კაბინეტისთვის უნდობლობის გამოცხადებისთვის მზად ნაციონალები არიან. საპარლამენტო უმცირესობა კი ჰქვიათ, მაგრამ ნაციონალების ხმათა რაოდენობა არც ისე მცირეა. როგორც ერთ-ერთმა ნაციონალმა დეპუტატმა, ირმა ნადირაშვილმა განაცხადა, სიურპრიზი არავისთვის იქნება, ახალი მთავრობის დამტკიცებას პარლამენტში ნაციონალური მოძრაობა მხარს რომ არ დაუჭერს. მეტიც, მან პრემიერ-მინისტრს არაადეკვატური უწოდა, „უმნიშვნელო“ მინისტრების მოხსნისა და ძალოვანი გუნდის დატოვების გამო და რა თქმა უნდა, ცხადი გახადა, რომ ამ ცვლილებას ნაციონალების რამდენიმე ათეული ხმა არ ექნება. საჭირო ხმათა რაოდენობა კი არცთუ ძნელი დასათვლელია. როგორც კონსტიტუციონალისტმა ავთანდილ დემეტრაშვილმა განაცხადა, ნდობის გამოსაცხადებლად აუცილებელია პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, ანუ 76 დეპუტატი. რა თქმა უნდა, „ოცნებას“ ეს უმრავლესობა ნამდვილად ჰყავს. კოალიცია პარლამენტში 85 დეპუტატითაა წარმოდგენილი, მაგრამ პრობლემები მაშინ შეიქმნება, თუ ეს რიგგარეშე სხდომაც ისეთივე დაბალი მოსწრებით ჩაივლის, როგორც წინა სხდომები. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სოსო ჯაჭვლიანს პულტზე ღილაკი აერევა, ვიღაც ავად გახდება, განაწყენებულ კობა დავითაშვილსა და გიორგი გაჩეჩილაძეს სხვებიც დაემატებიან — 85-დან 76-მდე ხომ სულ რაღაც 9 ხმაა?! „ოცნებამ“ კი, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ერთად დგომის მასტერკლასი, ჯერჯერობით, ვერსად გვიჩვენა, მათ შორის, ვერც პარლამენტში. მოკლედ, ცოტა ხანში, წესით, „ოცნების“ დეპუტატების საყოველთაო მობილიზაციის მომსწრენი გავხდებით, მაგრამ როდის? ამ საკვანძო კითხვაზე პასუხი კი ისევ და ისევ უფლებებშეკვეცილმა პრეზიდენტმა იცის, რომელსაც, სხვათა შორის, ღარიბაშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევის გეგმები ჩაუშალა. **ლევან ალაფიშვილი: „გიორგი მარგველაშვილის როლს სათანადო ყურადღება არ მიექცა და კარგია, რომ ამ თემას თქვენი გაზეთი გაახმოვანებს. ახლა არასასესიო პერიოდია. ანუ მინისტრთა კაბინეტის დასამტკიცებლად პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევაა საჭირო. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის კომპეტენციაა. პრეზიდენტი სხდომას როდის მოიწვევს, მისი საქმეა — მომავალი მთავრობის ბედი პრეზიდენტის ხელშია! გარდა სხდომის მოწვევისა, მეორე მთავარი უფლებაც, ახალი შემადგენლობის წარდგენისა, მისია. თუმცა ერთი კითხვა მიჩნდება. მინისტრების შეცვლამდე ერთი დღით ადრე, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განაცხადა, უშიშროების საბჭო ამ კვირაში უნდა მოვიწვიოო. მინისტრებშეცვლილი საბჭო კი, ლეგიტიმაციის ძალიან დაბალი ხარისხის მქონე იქნება. რჩება მხოლოდ პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრთა კაბინეტი, რომლის დამტკიცებას ამ კვირაში ფიზიკურად ვერ მოასწრებენ, ამიტომ სხდომაზე მინისტრების შემცვლელები ან მათი მოადგილეები იქნებიან. არადა, ეს უშიშროების პირველი სხდომაა და წესით, ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ღარიბაშვილის გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, მარგველაშვილის განცხადებასაც შეიძლება დავუკავშიროთ, რადგან ამ ორ მოვლენას ერთმანეთზე გავლენა ნებისმიერ შემთხვევაში ექნება. სავარაუდოდ, პრეზიდენტს სხდომის მომდევნო კვირაში მოწვევა მოუწევს, რადგან მისი ამ კვირაში ჩატარება, არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს. შესაბამისად, პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევა გიორგი მარგველაშვილის ინტერესებშიც შედის, სხდომამ კიდევ უფრო რომ არ გადაიწიოს და ლეგიტიმაციის ძალიან დაბალი ხარისხით არ ჩატარდეს“.**

ვერსიანიუსი

ქონების მართვის სააგენტოს უფროსი დავით ჭედია პასუხისგებაში მისცეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ჭედიას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავება. საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, **„გამოძიებით დადგინდა, რომ დავით ჭედია 2011 წლიდან მუშაობს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის თანამდებობაზე და წარმოადგენს საჯარო მოხელეს. მის უფლება-მოვალეობას წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის (ქალაქი თბილისი) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების, განკარგვის და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი მომზადებული პროექტების ქალაქ თბილისის მთავრობის სხდომაზე გატანა.**

2013 წლის 17 ივლისს, თბილისის მერიამ მიმართა შპს „გუდაური სქაი რესორტს“ და საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მოითხოვა 193 500 (ასოთხმოცდაცამეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა. აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდა გიორგი ღონიაშვილისათვის, რომელმაც შპს „გუდაური სქაი რესორტის“ ფაქტობრივ მფლობელს, გიორგი კაპანაძეს შესთავაზა 50 000 ლარის სანაცვლოდ, ქ. თბილისის მერიის მაღალჩინოსნებთან საკუთარი კონტაქტების გამოყენებით, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

გიორგი კაპანაძისგან თანხმობის მიღების შემდეგ, გიორგი ღონიაშვილი დაუკავშირდა თავის ნაცნობს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსს დავით ჭედიას, რომელსაც სთხოვა შპს „გუდაური სქაი რესორტისთვის“ დარიცხული პირგასამტეხლოს მოხსნა და ამასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მთავრობის სხდომაზე საკითხის გატანა.

დავით ჭედია მოქმედებდა რა გიორგი ღონიაშვილის ინტერესების სასარგებლოდ, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურის თანამშრომლებს მოამზადებინა შპს „გუდაური სქაი რესორტისთვის“ პირგასამტეხლოს მოხსნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროექტი და დაავალა საკითხის ქ. თბილისის მთავრობის სხდომაზე გატანა.

2014 წლის 25 აპრილს თბილისის მთავრობამ, დავით ჭედიას დავალებით მომზადებული საკითხის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება შპს „გუდაური სქაი რესორტისთვის“ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ, რითაც არსებითად დაირღვა საჯარო ინტერესი“.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების 3 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“

„პუტინმა საფლავი გაითხარა“

შეეწირება თუ არა „ბოინგ 777“-ის ავიაკატასროფას რუსეთის ინტერესები და რა გავლენას იქონიებს უკრაინაში მიმდინარე პროცესები საქართველოზე

რუსუდან შელია
557-100-768

საგამოძიებო კომისიამ, რომელსაც ჰოლანდიელი ექსპერტები ხელმძღვანელობენ, უკრაინის ტერიტორიაზე ჩამოვარდნილი „მალაიზიური ავიახაზების“ კუთვნილი სამგზავრო „ბოინგ 777“-ის შესწავლა დაიწყო. ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ავიაკატასტროფის მსხვერპლთა იდენტიფიცირების პარალელურად, ავიალაინერის კატასტროფის მიზეზის გარკვევასაც შეძლებენ. ამასობაში, პუტინი ტერორისტულ ფაქტზე პასუხისმგებლობის მოხსნას ცდილობს და მსოფლიოს მოუწოდებს, თვითმფრინავის ჩამოგდება პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამოიყენონ. ცივილიზებული მსოფლიო კი რუსეთის პრეზიდენტის ირონიას სანქციების სერიით პასუხობს. რამდენად შეძლებს დასავლეთი უკრაინაში რუსეთის შეჩერებას და რა გავლენას მოახდენს პარტნიორ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე? „ვერსიასთან“ დიპლომატი, საზოგადოება „ივერიის“ წევრი მამუკა გამყრელიძე საუბრობს.

— ის ტრაგედია, რომელიც უკრაინის საჰაერო სივრცეში დატრიალდა, არ გახლავთ არც უბრალო ინციდენტი და არც მარტოხელა ტერორისტის ნახელავი. ეს უბედურება არ დატრიალდებოდა, რომ არა რუსეთის აგრესია სუვერენული ევროპული ქვეყნის წინააღმდეგ, რომ არა კრემლის მიერ დაფინანსებული ტერორისტები და დივერსანტები, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედებენ. როგორც ამბობენ, მაიმუნს ხელში ყუმბარა მისცეს და, ცხადია, ტრაგედიაც დატრიალდა. ამ ამბის განხილვა მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში შეიძლება და არა განყენებულად ტერორისტული ან სამხედრო თვალსაზრისით. მგონია, რუსეთმა უკვე იმ ზღვარს გადააბიჯა, რომელზეც დასავლეთი თვალს ვერ დახუჭავს. პუტინმა საკუთარი საფლავი თავად გათხარა.

— პუტინი კი ბოინგის ჩამოგდებას აღმოსავლეთ უკრაინაში საომარი მოქმედებების განახლებას უკავშირებს. ეს გამაფრთხილებელი სიგნალია, რომ პუტინი თავის ინტერესებს უკრაინაში არ დათმობს?

— ჩემი აზრით, უკრაინაში რუსეთის აგრესიის ძირითადი მიზეზი არა იმდენად დამპყრობლური ომის წარმოებაა, თუმცა, რა თქმა უნდა, თუ პუტინს გაუვიდოდა, ყირიმსაც მიითვისებდა და სამხრეთ აღმოსავლეთ უკრაინასაც მიაყოლებდა თავისი დნესტრისპირეთით. იგი პრაგმატული ადამიანია და იცის, ამ ტერიტორიების შენახვა უზარმაზარ ხარჯთანაა დაკავშირებული, რისი საშუალებაც რუსეთს არ აქვს. ძირითადი მიზეზი რუსეთის შიგნით უნდა ვეძებოთ — პუტინს თავისი მოსახლეობის შიში აქვს და უსაფრთხოება აწუხებს. სწორედ ამიტომ დაიწყო ეს საშიში თამაში. მოკლევადიან პერსპექტივაში მან წარმატებას მიაღწია — რეიტინგი 85%-ს უტოლდება, მაგრამ ახლა საკუთარი პოლიტიკის ტყვეა და ე.წ. ცუგცვანგში იმყოფება — წინ წასვლის საშუალებას დასავლეთი არ მისცემს, უკანდახევისას კი საკუთარი ამომრჩეველი.

— დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს ააქტიურებს და პუტინს ულტიმატუმს უყენებს, თუ „ბოინგის“ საქმეზე აქტიური რეაქცია არ გექნება, ევროპელი ლიდერები მორიგ სანქციებზე იმსჯელებენო. რას უნდა ველოდეთ პუტინისგან და ზოგადად, ეფექტურია სანქციებით მუქარა რუსეთთან მიმართებაში?

— სანქციები, რომლებსაც დასავლეთი რუსეთს უწესებს, ერთი შეხედვით, არაეფექტურად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ დავაკვირდეთ რუსეთში ეკონომიკურ პროცესებს — რუსეთიდან კაპიტალის უსწრაფესი გადინებაა. ფონდებმა და ინდივიდუალურმა ინვესტორებმაც პოლიტიკური არასტაბილობის სუნი იგრძნეს და ინვესტირება მინიმუმამდე დაიყვანეს. არ შეიძლება, ასეთმა ვითარებამ რუსეთის ეკონომიკას მძიმე დარტყმა არ მიაყენოს. ეს მხოლოდ დროის ამბავია. სანქციების შემდგომი გამკაცრება რუსეთს კატასტროფის წინაშე დააყენებს და ამას ამ ქვეყნის ოფიციალური პირებიც აღარ მალავენ. მაგალითად, რუსეთის ფინანსური ომბუდსმენი პავლე მედვედევი.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ პუტინი უკრაინაში პოროშენკოსთან შესახვედრად ჩავიდა. ეთანხმებით აზრს, რომ ამ ნაბიჯით უკან იხევს და უკრაინასთან მოლაპარაკებებზე თანხმდება?

— ეს დეზინფორმაცია აღმოჩნდა და პატივცემული პუტინი, სამარაში ბრძანდებოდა 2018 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის სტადიონის მშენებლობის დაწყების ცერემონიალზე დასასწრებად ვლადიმერ მუტკოსთან ერთად.

— ამასობაში, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ძერჟინსკში დაიკავეს ბოევიკების შტაბი, ანტიტერორისტულმა ძალებმა კონტროლი დაამყარეს გორლოვკის ნაწილზე და გაათავისუფლეს დასახლებული პუნქტი პესკი. ამას გარდა, უკრაინის არმიამ წინ წაიწია ლისიჩანსკთან, რომელიც ლუგანსკის ოლქს ეკუთვნის. როგორია თქვენი პროგნოზი?

— ანტიტერორისტული ოპერაცია, როგორც ოფიციალურად მოიხსენიებენ, რუსეთთან ომს უფრო ჰგავს. უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმატება აშკარაა, ახლა მთავარია, ევროპის რადიკალურმა ლიბერალებმა და რუსეთის პრეზიდენტის ხიბლში მოხვედრილმა ზოგიერთმა ევროპელმა ლიდერმა აცადოს პოროშენკოს ამ ოპერაციის ბოლომდე მიყვანა. თუმცა ამ საჰაერო ტრაგედიის შემდეგ, არა მგონია, ვინმემ ღიად გამოხატოს სეპარატისტებისადმი თანაგრძნობა და უკრაინის არმიაც საბოლოოდ გაათავისუფლებს თავის მიწა-წყალს სეპარატისტებისგან. გადამწყვეტ ბატალიებს აგვისტოში უნდა ველოდეთ და ალბათ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კუთხეში მიმწყვდეული პუტინი უკიდურესად საშიშია.

— რა გავლენას იქონიებს უკრაინაში არსებული ვითარება ჩვენ ქვეყანაზე, მოსალოდნელია, პუტინის მორიგი სამიზნე კვლავ საქართველო გახდეს?

— სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი, პუტინი ყირიმის ოკუპირების შემდეგ ასე ღრმად ჩაეფლობოდა უკრაინის ავანტიურაში. მეტიც, მქონდა შიში, პუტინი ყირიმის საკითხისაგან ყურადღების გადატანის მიზნით, საქართველოს მიმართულებით დაძრავდა ჯარებს. ამისთვის მხოლოდ სომხეთზე საავტომობილო კორიდორი და მასზე სამხედრო ტვირთების გატარების მოთხოვნა სჭირდებოდა, რაც საქართველოს მთავრობას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა — უარის შემთხვევაში რუსები მაინც შემოვიდოდნენ და შეძლებდნენ საქართველოს გაკონტროლებას. ამას დავუმატოთ, რომ საქართველოს ჯარი გაცილებით მცირერიცხოვანია ვიდრე უკრაინისა, კოლაბორაციონისტების პოვნა ჩვენთანაც მარტივია, მოსახლეობა ბევრად პასიურია და რაც მთავარია, ტერიტორიაა პატარა. ეს ყველაფერი ბევრად იაფს გახდიდა პუტინის ავანტიურას, თანაც ეს თანხვედრაში იქნებოდა რუსეთის ინტერესებთან სამხრეთ მიმართულებაზე, სადაც ნავთობისა და გაზის ძირითადი მარაგებია. ეს მხოლოდ ჰიპოთეტური სცენარია, მაგრამ რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. სწორედ ამიტომ ამახვილებს ყურადღებას საზოგადოება „ივერია“ საქართველოში არსებულ კოლაბორაციონისტულ დაჯგუფებებზე — რუსეთი ყოველთვის ასეთ ძალებს ეყრდნობა მორიგი აგრესიის განსახორციელებლად.

— თუ რუსეთიდან სამხედრო აგრესია რეალურია, რამდენად მზადაა საქართველოს ხელისუფლება, ადეკვატურად იმოქმედოს, დასავლეთის სათანადო დახმარების იმედი უნდა გვქონდეს?

— უპრიანი იქნებოდა, მინისტრ ალასანიასათვის გეკითხათ, საქართველოს ჯარი არის თუ არა მზად, წინ აღუდგეს რუსეთის აგრესიას. რაც შეეხება ჩემ პოზიციას, მგონია, ჩვენი საზოგადოება ფრუსტრაციამ და აპათიამ მოიცვა. ასეთ დროს მტრის აგრესიას ხალხის მხრიდან შეიძლება საკმარისი წინააღმდეგობა არ მოყვეს. დასავლეთის დახმარება კი, ჩვენივე აქტივობის ადეკვატური იქნება. როგორც ოკუპანტის ორი გენიალური კლასიკოსი იტყოდა: „спасение утопающих, дело рук самих утопающих“.

არჩევნებზე არმისვლა დაისჯება?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უფლებათდამცველთა გაერთიანების ლიდერი ნიკოლოზ მჟავანაძე ინიციატივით გამოდის — არჩევნებზე არმისვლა უნდა დაისაჯოს! რა ტიპის და როგორი სანქციები უნდა დაწესდეს, ამაზე მომავალში პარლამენტი იმსჯელებსო, აცხადებს იდეის ავტორი და მიაჩნია, რომ საქართველოში ყველაზე მეტად ფინანსური სანქციები იმოქმედებს. მის იდეას მხარს, ფაქტობრივად, ყველა ოპოზიციური პარტია უჭერს, ნაციონალების გარდა. „ოცნების“ ხელისუფლება კი, ჯერჯერობით, დუმს. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ არჩევნებამდე დარჩენილი 2 წელი ამ იდეის პოპულარიზებისთვის მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. ნიკოლოზ მჟავანაძე, სპეციალურ პრესკონფერენციამდე, „ვერსიას“ ხელმომწერი პარტიების ჩამონათვალს ექსკლუზიურად უმხელს.

— გამოვდივართ ინიციატივით, იმ ამომრჩევლის მიმართ, რომელიც არჩევნებზე არ დადის, გარკვეული სანქციები გატარდეს. ამისთვის საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებები უნდა შევიდეს. აუცილებელია, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის 1-ელ პუნქტში, „ამომრჩეველთა ნების თავისუფლად გამოვლენის“ ნაცვლად, დაიწეროს — „ამომრჩეველთა ნების გამოვლენა სავალდებულოა“. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ არჩევნებზე სავალდებულო გამოცხადების პრაქტიკა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არ არღვევს, რადგან დასავლეთ ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში არჩევნებზე მისვლა სავალდებულოა. თუმცა დაუშვებელია მოთხოვნა, ადამიანმა რომელიმე კონკრეტული კანდიდატურა შემოხაზოს. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ამით ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლი არ ირღვევა. ეს მუხლი კი აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას მოიცავს. სავალდებულო მხოლოდ საარჩევნო უბანზე მისვლა იქნება და არა კონკრეტული პირისთვის ხმის მიცემა. მთელ რიგ ქვეყნებში, ბიულეტენზე გამოყოფილია გრაფა იმ მოქალაქეებისთვის, ვინც საარჩევნო უბანზე მხოლოდ ვალდებულების გამო მიდის და არა ვინმეს მხარდასაჭერად. მათ შეუძლიათ დააფიქსირონ, რომ არც ერთ კანდიდატს მხარს არ უჭერენ. ასე კანდიდატებს გამოუცხადებენ ბოიკოტს და არა საარჩევნო პროცესს.

— კონკრეტულად, სადაა ასეთი პრაქტიკა და რა სანქციები მოქმედებს?

— არის ქვეყნები, სადაც სანქციები უმკაცრესია, ზოგან კი ლოიალური და კატეგორიები, პირობითად, ხუთად იყოფა: კანონმდებლობა უმკაცრესია ბრაზილიაში, ავსტრალიაში, სინგაპურში, პერუში; ნაკლებად მკაცრი — ბოლივიაში, ტაილანდში, შვეიცარიაში; ზომიერი — თურქეთში, ლუქსემბურგში, კვიპროსზე, ჩილეში, ლიხტენშტეინში; უფრო ლოიალური — პანამაში, საბერძნეთში, არგენტინაში. არჩევნებზე მისვლა სავალდებულოა, თუმცა სანქციებით არ ისჯება კოსტა-რიკაზე, ვენესუელაში, დომინიკის რესპუბლიკაში. პირველი ქვეყანა, სადაც სავალდებულო არჩევნების პრაქტიკა დაინერგა, ბელგია იყო. იქ არჩევნებზე არასაპატიო მიზეზით პირველად არმისვლის შემთხვევაში, ამომრჩეველი 50 ევროთი ჯარიმდება, მეორედ 125 ევროთი, ხოლო შემდეგ ჯერზე ხმის უფლება ერთმევა და საჯარო სამსახურში მუშაობა ეკრძალება. მექსიკაში სოციალური სანქციები ტარდება, იტალიაში არჩევნებზე არმისვლა ბავშვის ბაღში მიღებას ართულებს. ბოლივიაში საარჩევნო ბარათებს არიგებენ და ამ ბარათის არწარდგენა ხელფასზე აისახება. ავსტრალიაში არჩევნებზე პირველად არმისვლის შემთხვევაში, ჯარიმა 13 დოლარია. არგენტინაში ჯარიმა 20-დან 200 დოლარამდე მერყეობს, ხოლო შემდეგ, ადამიანს სახელმწიფო სამსახურში მუშაობა ეკრძალება. ბრაზილიაში არჩევნებზე არგამოცხადების შემთხვევაში, მოქალაქეს ეკრძალება პროფესიული გამოცდების ჩაბარება, სესხისა და პასპორტის აღება. თუ მესამედ არ გამოცხადდება, რეგისტრაციიდან ხსნიან.

— საქართველოში ამ ტიპის სანქციები გაამართლებს?ამ მუქარამ ხალხის განწყობა უარესობისკენ რომ შეცვალოს?

— სანქციების ტიპი — ჯარიმა, სახელმწიფო სამსახურში მუშაობის აკრძალვა თუ სხვა, პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს. არ ვითხოვთ, ადამიანებს საქართველოში ციხე ან



გამომასწორებელი სამუშაო მიუსაჯონ, საუბარი მცირე სანქციებსა და მიზერულ ჯარიმებზე გვაქვს. ეს შეიძლება იყოს 10 ან 15 ლარი. 15 ლარის გადახდას, მით უმეტეს, ამ სოციალურ სიდუხჭირეში, 20 წუთის დახარჯვა და არჩევნებზე მისვლა არ სჯობს?! წელს არჩევნებზე ისე ცოტა ხალხი მივიდა, გამარჯვებულებს ლეგიტიმაციის ძალიან დაბალი ხარისხი აქვთ, რადგან მოსახლეობის ნახევარსაც არ აურჩევია. ეს მაჩვენებელი, 2014 წლის არჩევნების შემდეგ, უფრო ეცემა. მათთვის, ვინც მხარს არავის უჭერს, ბიულეტენზე სპეციალური გრაფა იქნება, სადაც მიუთითებენ, რომ არც ერთი კანდიდატი არ მოსწონთ. სამაგიეროდ, არჩევნების გაყალბების საშუალება აღარავის ექნება.

— პოლიტიკურმა პარტიებმა ამ იდეის შესახებ იციან და მხარს უჭერენ?

— ინიციატივის შესახებ ინფორმაცია ყველა ძირითად პარტიას გადავუგზავნეთ. მას მხარს უჭერენ შემდეგი ძალები: მწვანეთა პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ), ლეიბორისტები, „თავისუფალი საქართველო“, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, „სამართლიანი საქართველოსთვის“, ნინო ბურჯანაძისა და ქრისტიან-დემოკრატების გაერთიანებული პარტია. ნაციონალებიდან და „ოცნებიდან“ პასუხი არ მიგვიღია. „ოცნების“ წევრები, ინდივიდუალურად, ამ იდეას იწონებენ, მაგრამ კოალიციის პოზიცია ჩამოსაყალიბებელია.

— რას აპირებთ იდეის პოპულარიზებისთვის — ამდენი მხარდამჭერი გყოლიათ და საკანონმდებლო პაკეტის შემუშავებას, ხელმოწერების შეგროვებას ვერ მოახერხებთ?

— 200 000 ხელმოწერა გვჭირდება. ეს ფინანსურად რთულია. 23 ივლისს პრესკონფერენციას ჩავატარებთ და იდეის მხარდამჭერ პარტიებს საჯაროდ დავასახელებთ. პროპაგანდას მანამ გავაგრძელებთ, სანამ მიზანს არ მივაღწევთ!

კრიზისი ბახმაროში – უცხოელი ტურისტები მობილური კავშირისა და პირველადი პროდუქტის გარეშე!

რატომ გაითიშა „ჯეოსელის“ ანძა კურორტზე?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ბახმაროს რაიონში რამდენიმე დღის წინ „ჯეოსელის“ ანძა გაითიშა და ამის გამო. მაღაზიებმა რაიონში მუშაობა შეწყვიტეს, რადგან საკონტროლო-სალარო აპარატებიც გაითიშა. შუა სეზონზე, მაღალმთიან კურორტზე მყოფი უცხოელი ტურისტები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — მობილური ოპერატორის სიგნალისა და პირველადი პროდუქტის გარეშე.

ბახმაროს მაღალმთიანი კურორტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 2050 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ტურისტული სეზონისთვის საუკეთესო დრო ივლისი-აგვისტოა. შუა სეზონზე, „ჯეოსელის“ ანძის გათიშვის გამო, ბახმაროში მყოფი უამრავი ტურისტი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მობილური კავშირი შეწყდა და მაღაზიებიც დაიკეტა. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ტექნიკური შეფერხების მიზეზით, მაღაზიების მფლობელები იძულებულები არიან, მუშაობა შეაჩერონ, ხომ შეიძლება, სახელმწიფოც გარკვეულ დათმობაზე წავიდეს და ფორსმაჟორი გამოაცხადოს?

ფაქტია, მაღაზიების მფლობელებმა მუშაობა შემოსავლების სამსახურის მოსალოდნელი და გარდაუვალი ჯარიმების შიშით შეწყვიტეს. საგადასახადო კოდექსის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე ვერც ერთი სავაჭრო ობიექტი ვერ იმუშავებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის უხეში დარღვევის გამო, სოლიდურ ჯარიმას ვერ ასცდება. ბახმაროში მდებარე მაღაზიების მფლობელების პოზიცია გასაგებია, მაგრამ ამასთან შეგუება საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ტურისტებს აშკარად გაუჭირდათ. მეტიც, სრულიად სამართლიანად აღნიშნეს, რომ „უპატრონო“ ქვეყანაში მოხვდნენ, სადაც ხელისუფლებას ფორსმაჟორი არ ესმის, სადაც ტურისტული სეზონისთვის მზად არ აღმოჩნდნენ.

ექსპერტები არ ცდებოდნენ, როდესაც ყირიმის კრიზისის გამო, ტურისტულ სეზონზე, საქართველოში უამრავი უკრაინელი ვიზიტორის ჩამოსვლას ვარაუდობდნენ. ბახმაროს კურორტზე, წელს უკრაინელი ტურისტები მართლაც სჭარბობდნენ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, **ხატია მოისწრაფიშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე, ვერც ერთი მაღაზიის მფლობელს ვერ მისცემენ მუშაობის უფლებას: **„სამწუხაროდ, ფორსმაჟორული ვითარება კანონში გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ამ მიზეზით, საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობის უფლებას ვერავის მივცემთ, რადგან ეს კანონდარღვევად ჩაითვლება. გვესმის, რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ტურისტები, მაგრამ კანონს ვერ დავარღვევთ. სხვათა შორის, ბახმაროში, მაღაზიებს, „ჯეოსელის“ ანძის გათიშვის პირობებშიც შეეძლოთ მუშაობა, რადგან გათიშულ მდგომარეობაში, სალარო აპარატიდან ჩეკის ამორტყმა ტექნიკურად შესაძლებელია. განსხვავება ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური** ღშ **სისტემით ინფორმაციას ვერ მიიღებს, მაგრამ ფისკალურ ინფორმაციას მოგვიანებით მაინც ვნახავთ. ცუდია, ანძა რომ გაითიშა, მაგრამ მაღაზიები ამ მიზეზით არ უნდა გაჩერებულიყო. ვფიქრობ, ბახმაროს სავაჭრო ობიექტების მფლობელებმა გადააჭარბეს“.**

„ვერსიამ“ გაარკვია, რომ „ჯეოსელის“ ანძა ბახმაროში ტექნიკური მიზეზით გაითიშა. საინტერესოა, რატომ ვერ შეძლო კომპანიამ ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა ტურისტულ სეზონამდე ცოტა ადრე? რატომ შეიქმნა გამოუვალი და კრიზისული მდგომარეობა საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ და ტურისტებისთვის მიმზიდველ კურორტზე? „ვერსიის“ კითხვებს კომპანია „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **თამარ როდონაია** პასუხობს.

— რა მიზეზით გაითიშა „ჯეოსელის“ ანძა ბახმაროში?

— „ჯეოსელი“ ბახმაროს მოსახლეობას მობილური კავშირით უზრუნველყოფს. ტურისტული სეზონის დადგომამ არსებული რესურსების გაზრდის აუცილებლობა გამოიწვია, რადგან არსებულით მრავალრიცხოვანი მომხმარებლის მომსახურება შეუძლებელი იყო. „ჯეოსელის“ ტექნიკურმა სამსახურმა ქსელის გასაფართოებლად რაიონში სასწრაფო ტექნიკური სამუშაოები ჩაატარა. ამჟამად ეს სამუშაოები სრულდება და მოსახლეობას შეუფერხებელი მობილური კავშირი მალე აღუდგება.

— ტურისტული სეზონის დადგომამდე რატომ ვერ შეასრულეთ ის ტექნიკური სამუშაოები, რომლითაც ანძას რესურსებს დაუმატებდით?

— შესაბამისი რესურსებით ქსელის უზრუნველყოფისთვის, სეზონურად აბონენტების რაოდენობის პროგნოზირებას ყოველთვის ვერ ვახერხებთ, ამიტომ წელს ბახმაროს რაიონში ქსელის რესურსების დამატება დაგვჭირდა.

— ბახმაროში მდებარე მაღაზიების სალარო აპარატებიც გაითიშა, სავალდებულოა, ეს აპარატები „ჯეოსელის“ ანძაზე იყოს დამოკიდებული?

— ზოგადად, სალარო აპარატი სიმ-ბარათზე მუშაობს. შესაბამისად, ანძის გათიშვის გამო, მაღაზიებში საკონტროლო-სალარო აპარატების მუშაობაც შეფერხდა.

P.S. „ჯეოსელმა“ წინასწარ ვერ გათვალა ტურისტების რაოდენობა და ანძას ტექნიკური რესურსი სეზონის დადგომამდე ვერ დაუმატა. ბახმაროში წელს იმაზე მეტი ტურისტი ჩავიდა, ვიდრე ელოდნენ და მათი სიჭარბის გამო, არსებული რესურსით ანძამ მუშაობა ვეღარ შეძლო. შემოსავლების სამსახური კანონს ვერ არღვევს და ფაქტია, ვერც მაღაზიებს მისცემს უფლებას, სალარო აპარატების გარეშე იმუშაონ. გამოდის, „დამნაშავე“ ბახმაროს სავაჭრო ობიექტების მფლობელები არიან, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ ჩეკის ამორტყმა გათიშული სალარო აპარატიდანაც შესაძლებელია. ეს დაუდევრობაა თუ გულგრილობა? ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საგადასახადო კოდექსი ფორსმაჟორს არ სცნობს, ის მაინც ხომაა შესაძლებელი, სავაჭრო ობიექტების მფლობელებს აუხსნან, როგორ უნდა ამუშაონ მათივე კუთვნილი საკონტროლო-სალარო აპარატები? ფაქტია, საქართველოში მომსახურების სფერო მოიკოჭლებს, მეტიც, სრული ჩავარდნაა. სამწუხაროდ, ადგილობრივები უკვე მივეჩვიეთ, რომ მაღაზიების გამყიდველები ისე „გვემსახურებიან“, თითქოს დიდი ხანია, მათი ვალი გვქონდეს. ამ ფონზე, თუკი რომელიმე სავაჭრო ობიექტის პერსონალი ღიმილით მოგვემსახურება, ისე გვიხარია, იქვე „ვჩექინდებით“, მერე „სელფსაც“ ვიღებთ პერსონალთან და ბოლოს Facebook-ზე ვასტატუსებთ კიდეც... ჩვენ კი მივეჩვიეთ და რატომღაც „გვესმის“, მაგრამ უცხოელი ტურისტები ამას ვერასდროს გაიგებენ. პრობლემა სწორედ ესაა და თუ გვინდა, საქართველოში ტურიზმი აღორძინდეს, რამაც ქვეყნის ეკონომიკაც უნდა ამოქოქოს, იქნებ ჯერ მომსახურება გვესწავლა?!

თბილისის აეროპორტთან ამერიკული ჰოსპიტალი გაიხსნება

ბიზნესმენები მამუკა ხაზარაძე და კურტ კონტი, ასევე ამერიკაში მოღვაწე ქართველი ექიმი დავით ტვილდიანი თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე უმსხვილეს ამერიკულ ჰოსპიტალს ააშენებენ. ეს არის 60 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია საქართველოში, რომელსაც „თიბისი ჯგუფი“, გლობალური დეველოპერული და სამშენებლო კომპანია „კონტი“ და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი „აიეტი“ განახორციელებენ. თიბისი ბანკის ორგანიზებით, ამ თემაზე „თბილისი მარიოტში“ ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, კურტ კონტი და დავით ტვილდიანი დაესწრნენ.

უმაღლესი სამედიცინო სტანდარტის კლინიკას „თიბისი ჯგუფი“, კომპანია „კონტი“ და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი „აიეტი“ ააშენებს

ამერიკული სტანდარტების მრავალპროფილიანი, 150-საწოლიანი ჰოსპიტალი თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთზე, ორი წლის ვადაში აშენდება. ასეთი ადგილმდებარეობა საშუალებას მისცემს ჰოსპიტალს, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებსა და მეზობელ ქვეყნებს მოემსახუროს, რაც რეგიონში წამყვან სამედიცინო დაწესებულებად აქცევს.

ამერიკულ ჰოსპიტალში JCAO-ს უმაღლესი ამერიკული სტანდარტები და ტექნოლოგიები დაინერგება, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ აქვს. გარდა ამისა, ჰოსპიტალში სამუშაოდ მიიწვევენ ამერიკაში ლიცენზირებულ ქართველ ექიმებს. თბილისის ამერიკულ ჰოსპიტალში, სავარაუდოდ, 400-მდე ადამიანი დასაქმდება. ჰოსპიტლის ბაზაზე, სამედიცინო ინსტიტუტ „აიეტისა“ და აშშ-ს წამყვანი სამედიცინო უნივერსიტეტების მონაწილეობით, სასწავლო-სამედიცინო ცენტრი ჩამოყალიბდება, სადაც კვალიფიციურ ექიმებს ამერიკული სტანდარტების შესაბამისად გადაამზადებენ.

დავით ტვილდიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფი — სამედიცინო ინსტიტუტი „აიეტი“ 1989 წელს დაარსდა. ეს არის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების წამყვანი ცენტრი საქართველოში. „აიეტის“ ბაზაზე, უცხოეთში მოღვაწე ქართველ ექიმთა სპეციალიზაციის ფონდიც დაფუძნდა, სადაც ამჟამად ამერიკასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მოღვაწე 200-ზე მეტი ექიმია გაერთიანებული.

25 წლის განმავლობაში, სწორედ ამ ცენტრში გადამზადებული და სერტიფიცირებული, 200 წამყვანი ქართველი ექიმია ის ძირითადი კონტინგენტი, რომელთა ბაზაზეც თბილისში ამერიკული ჰოსპიტალი შეიქმნება. **დავით ტვილდიანის** განცხადებით, დაახლოებით, 10-15 წელია, რაც 200 ქართველი ექიმი აშშ-ს სხვადასხვა, წამყვან კლინიკაში მუშაობს: **„ისინი სიამოვნებით ჩამოვლენ საქართველოში, თუკი აქ შესაბამისი პირობები დახვდებათ. ამ ტიპის სამედიცინო დაწესებულების შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოში ჯანდაცვის სფეროს განვითარებას. ამერიკული ჰოსპიტლის ბაზაზე, ჩვენს მოსახლეობას საშუალება ექნება, ისეთი სამედიცინო მომსახურება მიიღოს, როგორიც მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში. ამდენად, ამერიკული ჰოსპიტალი უმნიშვნელოვანესი ინვესტიციაა, როგორც ჯანდაცვის სფეროს განვითარების, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიმართულებით“.**

ტვილდიანისვე თქმით, ამერიკული ჰოსპიტლის შექმნა საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ამერიკულ ჰოსპიტალში დაინერგება ისეთი ცნობილი ქართული სამედიცინო პროდუქტით მკურნალობა, როგორიცაა „თურმანიძის მალამო“, „კოლხური“ და ბაქტერიოფაგები, რაც ამ პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტს ხელს შეუწყობს. დავით ტვილდიანმა „ვერსიას“ განუმარტა, რომ ბაქტერიოფაგებს თანამედროვე პირობებში გამოცდა არ სჭირდება, რადგან უკვე 100 წელზე მეტია, სრულიად საბჭოთა კავშირს ამ პრეპარატებით მკურნალობდნენ და ისეთ დაავადებებს ამარცხებდნენ, როგორიც ტიფი და მალარიაა. თუმცა იმისთვის, რომ ბაქტერიოფაგი, როგორც ქართული სამედიცინო პროდუქტი, საერთაშორისო ბაზარზე მოხვდეს, აუცილებელია, ამერიკული სტანდარტების შესაბამის კლინიკაში გამოიყენონ.

„თიბისი ჯგუფის“ ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე ამაყობს, რომ ისეთ რთულ სფეროში, როგორიც ჯანდაცვაა, მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო. მისი თქმით, თიბისი ბანკი უზრუნველყოფს, ამერიკაში მოღვაწე 200-მა ქართველმა ექიმმა, რომლებიც ამ ჰოსპიტალში დაიწყებენ მუშაობას, კომპანიაში აქციების გარკვეული წილიც მიიღონ. ხაზარაძის განმარტებით, ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ამ ექიმების მოტივაციას, საქართველოში უფრო ხანგრძლივად დარჩნენ. ორი წლის შემდეგ, როცა აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ამერიკული ჰოსპიტალი აშენდება, თიბისი ბანკი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სასტუმროსაც ააშენებს, რაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტსაც მოემსახურება და ამერიკულ ჰოსპიტალში სამკურნალოდ ჩამოსულ უცხოელებსაც.

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა საერთაშორისო დეველოპერული და სამშენებლო კომპანია „კონტის“ დამფუძნებელს, კურტ კონტს მადლობა გადაუხადა უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო პროექტის გამო. კვირიკაშვილის განცხადებით, ამერიკული ჰოსპიტალი რეგიონში წარმატებული კლინიკა იქნება, სადაც საქართველოს მოსახლეობას საშუალება ექნება, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ კლინიკაში სამედიცინო მომსახურება მიიღოს. რაც შეეხება ხაზარაძის ინიციატივას, აეროპორტსა და ამერიკულ ჰოსპიტალთან სასტუმრო აშენდეს, კვირიკაშვილმა დასძინა, რომ თანაინვესტირების ფონდის საშუალებით, სასტუმროს მშენებლობას საქართველოს მთავრობაც დააფინანსებს.

მაია მიშელაძე

წერილი ვანო მერაბიშვილს

გიორგი იაშვილი



მას შემდეგ, რაც გიგი უგულავას წერილი მივწერე, ჩემს ტელეფონზე ზარი არ შეწყვეტილა. ხან ვანო მერაბიშვილი მირეკავდა მატროსოვის ციხიდან, ხან ბაჩო ახალაია. ორივე ერთსა და იმავეს ჩიოდა — ციხეში გასართობი ცოტაა, წერილი ჩვენთვის ნამდვილი ზეიმია და ჩვენც მოგვწერეო. ვანომ პირდაპირ მომთხოვა, ორი წერილი მინდა, ჩემთვის და ბაჩოსთვის, ორი წერილი, წამღებს მე გიშოვიო... მოკლედ, ამ ნომერში მერაბიშვილს მოვიკითხავ, ბაჩოს კი ჩაროზად შემოვინახავ.

აბა, როგორ ხარ, ჩემო ივანე?! მითხრეს, ცოტას ავადმყოფობს, ხერხემალი აწუხებსო. ეჰ, ჩემო ვანო, ხერხემალი შენი დაჭერის შემდეგ საქართველოს აწუხებს და შენ რა დღეში იქნები, წარმომიდგენია. ეს ევროპელები კიდევ როგორ გიშლიან ნერვებს? ჩამოდიან დაბანილები, დავარცხნილები, ცხოვრებით კმაყოფილები, გნახულობენ და გეუბნებიან, გაუძელი, გაუძელიო... არადა, როგორი გასაძლებია, როცა შენ მიერ შექმნილი პოლიცია აპოლიტიკური გახდა, იმ ზონდერჯგუფებს, თვალის ჩინივით რომ უფრთხილდებოდი, ფოსფორისფერი ლაბადები გაუხუნდათ, ბიზნესწილები ნელ-ნელა მიაქვთ და შენ კიდევ ბალანდის ღეჭვითა და ოთახის გამოგვით ხერხემალი გტკივა. არა, რა, ეს ევროპა არც მაშინ გვადგებოდა, შენ რომ ხერხემლობდი და არც ახლა. რაღაც უხერხემლოა, რა, ეს ევროპა და რუსეთის ხერხემალი კი ნახე თავად 2008 წელს. პრინციპში, რუსეთის კი არ ნახე, შენ წინ რომ მირბოდნენ წაკუზულები, იმათ ხერხემალს ხედავდი, შენს უკან მორბენლები შენს ხერხემალს ხედავდნენ... იმასაც ამბობენ, შენი დაჭერის შემდეგ შარდენზე კლიენტები ახლა უფრო თამამად შედიან, არ ეშინიათ, რომ ნასადილევს ვინმე დახვდება გარეთ და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანს; არც იმის ეშინიათ, რომ მოუსმენენ და, თუ რომელიმე გაჭირვებულმა სახლი გაყიდა და რაღაც კაპიტალი აქვს, დაიჭერენ და წამალს ჩაუდებენ. სულ წავიდა ხალხი, ვანო, ხელიდან, ისე გათამამდნენ, პოლიციას სიტყვას უბრუნებენ და ქუჩაში ჩაცხრილვის არ ეშინიათ. გათავხედდნენ, ვანო, სულ გათავხედდნენ. ადრე ხმის ამოღების რომ ეშინოდათ და შენს კაბინეტში დაბარებული ნებისმიერი ბიზნესმენი უკან მათხოვრად გამოდიოდა, ახლა ასე აღარ არის. პირიქით, მილიონი კი არა, ასი ლარი რომ სთხოვო, ისეთ ამბავს ატეხს, თითქოს ამ ქვეყანაში არც 7 ნოემბერი ყოფილიყო და არც 26 მაისი. დგას ახლა ობლად ის ჯიხური, ორი გვამი რომ იპოვეს და შენს მოლოდინშია. ამბობენ, ვერ ეღირსება ეგ ჯიხური იგივეს განმეორებასო, მაგრამ ხომ იცი, ჯიხურის იმედი ბოლოს კვდება.

პრინციპში, ჯიხურების ამბები კი გეცოდინება, იპოვეს რამდენიმე სამეგრელოს ტყეებში, სადაც შენი ხელქვეითები ვიღაცებს აუპატიურებდნენ ხოლმე (ძირითადად კაცებს). ეგ ბუნაგი ხომ მოშალეს, ის მოძალადეებიც კიდევ გაქცეულები არიან. შენ რომ გარეთ იყო, კი ჩამოიყვანდი იმათ საქართველოში და წესისამებრ კი მიუსჯიდი საკადრისზე მეტს, მაგრამ ვაი, რომ დაჭერილი ხარ და ვაი, რომ ჯერ მხოლოდ ერთნიშნა „სროკი“ გაქვს. ჟარგონი რომ ვიხმარე, ვიცი, არ გეხამუშება, კი ზიხარ შენ იმდენ ხანს მანდ, ციხის ჟარგონები დაგემხეცებინა, ამდენი პოლიციელი გაამხეცე თავის დროზე და ჟარგონების დამხეცება რას მიქვია.

ისე, რამდენიმე მხეცი მანდაც გყავს ფაცაციასა და მკურნალიძის სახით და მაგათ უთხარი, შესაძლოა, ადგილი შეუცვალონ. ამბობენ, ზოოპარკი თბილისის ზღვაზე გადააქვთო და მაგათ აქ ვინ დატოვებს, გამოუყოფენ ვოლიერს, მივალთ ხოლმე სანახავად და შვილებისთვის იმის სათქმელად, როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. პრინციპში, რაღა ადამიანი, როგორი არ უნდა იყოს... ცხოველიც კი. ახლა ფაცაციასა და მკურნალიძის ამბავი არ გამიპროტესტო, ვანო, თორემ ისეთებს მივწერ მაგათ, შეიძლება, გამარჯობა აღარ უთხრა და თან მონაყოლს კი არა, საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილს. ისე, თუ გინდა, ფაცაციას შეახსენე, წერილს ის წერს, 2011 წლის 4 იანვარს, პატრიარქის დაბადების დღეს გლდანის ციხის კამერაში რომ შევარდი შენს „გიენებთან“ ერთად და რამდენიმე პატიმარი ისე სცემე, სხეულზე ტყავი გადაძვრათქო... ისე, რას ერჩი მაგას, მთვრალი იყო მაშინ და სიმთვრალეში კაცი კი არა, ქალიც ძნელი მოსათოკია. გეცოდინება ეგ შენ, რას ნიშნავს მთვრალი ქალი და აღარ გავაგრძელებ, არ განვავრცობ ამ ამბავს.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, გული მიკვდება, მანდ რომ გხედავ-თქო. უფრო სწორედ, ეს ბობოლა ნაციონალები მხოლოდ სამნი რომ ხართ, მაგაზე მწყდება გული. ბოლოს და ბოლოს, ჯოკერი მაინც ხომ უნდა ითამაშოთ და მეოთხე გჭირდებათ. საფრანგეთმა კეზერას ექსტრადიციაზე უარი თქვა და ახლა საბერძნეთის იმედი გვაქვს, ეგებ დათა ახალაია გაიმეტონ და საჯოკრე ხალხიც შეიკრიბებით. თუ ასე იქნება, მაინცდამაინც დიდ ფულზე ნუ ითამაშებთ შენ და გიგი, თორემ ბაჩო და დათა ისევ ერთად შეეცდებიან თქვენს მოშთობასა და მოშორებას.

სხვა, აბა, რა გითხრათ? გამოძიება რომ ნორმალურად წარიმართოს, ვინძლო, საჯოკრე ხალხი კი არა, თქვენგან მორაგბეთა ორი გუნდი უნდა გაკეთდეს, მაგრამ ამ კოჰაბიტაციის გადამკიდე არაფერი გამოდის. ისე, მანდ როგორ არის კოჰაბიტაციის თემა?! მაყურებელი თუ გყავთ, კაზიოლი და ქათამი? ახლა იდუმალი ხმა ჩამესმის, მანდ რაღა კაზიოლებს კითხულობ, შემადგენლობას გადახედეო და ხომ გაგიგია, ხმა ღვთისა, ხმა ერისაო... მომწერე ყველაფერი წვრილად და ვიყოთ ასე შეხმატკბილებული. თუ რამე არ მოგეწონება, დამირეკე ისევ. მართალია, სოზარი მოგიხსნეს, მაგრამ სხვა პატიმრებისგან განსხვავებით, ისევ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იქნები, ვიცი მე ეს და დააფასე... თქვენ ამას არ აკეთებდით და რა ვიცი, აკი ამბობდნენ, კეისარს კეისრისაო...

„ობშიაკისთვის“ თავგანწირული მაყურებლის ისტორია

პატიმარი №0578

როგორ აიძულა დათამ ზონის უფროსი, ფული „დანიშნულების ადგილას“ მიეტანა

საყოველთაო აზრით, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, ნებისმიერი საქმის გაკეთება შესაძლებელი იყო, თუმცა არსებობდა გამონაკლისებიც მაშინ, როცა კრიმინალი ბობოლა მაღალჩინოსნებს ან პოლიციელების სიცოცხლეს ეხებოდა...

1998 წელს, ერთ-ერთი ოპერაციის დროს, ორი პოლიციელი დაიღუპა. რამდენიმე დღეში სამართალდამცავებმა სამეგრელოში მთავარი ეჭვმიტანილი, დათა ს. დააკავეს. იმის მიუხედავად, რომ დათას მშობლები უზარმაზარ თანხას იხდიდნენ, მხოლოდ იმას გამორჩნენ, რომ შვილი ცოცხალი დატოვეს და პოლიციელებმა ცემაში არ მოკლეს, თუმცა 14 წელი მიუსაჯეს. რუსთავის ზონაზე მისვლიდან რამდენიმე თვეში დათა ზონის მაყურებელი გახდა და „კანონიერი ქურდების“ კამერაში გადავიდა.

2003 წელს მომხდარი ვარდების რევოლუციის შემდეგ, დათას მშობლებმა შვილის ვადაზე ადრე გათავისუფლება კიდევ ერთხელ სცადეს. ახალ ხელისუფლებას 800 ათასი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა — გარდაცვლილი პოლიციელები უმძიმესი დანაშაული იყო და ფულს ხელი ვერცერთმა ძალოვანმა ვერ მოკიდა. დათა ზონაზე თავს ურიგოდ არ გრძნობდა, საერთოს აკონტროლებდა, გარეთ საქმოსნებს ფულს ციხიდან აწერდა და მალე რუსთავის ზონასთან მისი კუთვნილი მერსედესიც გაჩნდა. მართალია, თავად გარეთ ვერ გადიოდა, მაგრამ ზედამხედველებს ნაღდ ფულს უხდიდა და ხან სიგარეტზე აგზავნიდა თავის მანქანით, ხანაც დასალევზე. ახალმა ხელისუფლებამ კრიმინალურ სამყაროს ნელ-ნელა „მოუჭირა“ და ერთ დღესაც ზონებიდან „ქურდები“ გაქრნენ. მთელი სიმძიმე მაყურებლებს დააწვა კისერზე. მთავარი ის იყო, როგორმე „ობშიაკი“ გადაერჩინათ. „ობშიაკში“ კი იმ დროისთვის ნაღდი ფულით ასი ათას ლარზე მეტი იყო და ამ თანხაზე პასუხისმგებელი მთლიანად დათა გახლდათ. სხვადასხვა ზონიდან არასახარბიელო ამბები მოდიოდა. სამართალდამცავების ელიტური დანაყოფი ზონებში მოულოდნელად შედიოდა და მაყურებლების საკანს „შმონს“ უტარებდა. ასე წაიღეს „ობშიაკი“ ორთაჭალის ციხიდან, ქსნიდან, ბათუმიდან, ზუგდიდიდან... დათა გრძნობდა, რომ რუსთავსაც მალე მიაკითხავდნენ და ზონის ახალ უფროსთან პირდაპირი ვაჭრობა ჰქონდა გამართული.

— აქედან პაკეტს გავიტანთ და დანიშნულების ადგილამდე როცა მივა, შენ ათი ათას დოლარს მოგიტანენ, — ეუბნებოდა ზონის უფროსს, მაგრამ ის კატეგორიულ უარზე იყო.

ერთ საღამოს რუსთავის ზონის ჭიშკარიც გაიღო და დაწესებულებაში სპეცდანიშნულების რაზმი გამოჩნდა. მათ წინ შინაგან საქმეთა მინისტრის იმჟამინდელი მოადგილე, ეკა ტყეშელაშვილი მოუძღოდა. დათა ამოქმედდა — საკუთარი საკნის წინ 50-მდე კაი ბიჭი დააყენა, თავად კი საკანში შეიკეტა და ფული ტანზე მიისკოჩა. ფულთან ერთად იყო რვეული, რომელშიც „ობშიაკში“ ფულის შემომტანთა სახელები და გვარები ეწერა. ფულთან ერთად გარეთ ეს რვეულიც უნდა მოხვედრილიყო. ზონაზე „შმონი“ დაიწყო, დათამ კი გარეთ ზარი განახორციელა, შემდეგ ტელეფონი გათიშა და საკნის სამალავში შეინახა...

დაახლოებით ერთ საათში, სპეცრაზმმა ეზოში ორი ტომარა მობილური ტელეფონი წამოაპირქვავა. ტყეშელაშვილი გამშრალ ზონის უფროსს ბოლო ხმაზე უყვიროდა: „ეგ არის, ზონაზე სრული წესრიგიაო? ერთი ხელის შევლებით ორი ტომარა ტელეფონი ვიპოვეთ და კიდევ ორი ამდენი დამალული ექნებათ“.

ზონის უფროსი დაპატარავდა და კუთხეში დადგა. სწორედ მაშინ მივიდა მასთან დათა და მშვიდად უთხრა — ახლა ყველა პატიმარს გაჩხრეკენ, ყველა ზონაზე ასე იყო, მე თუ გამჩხრეკენ, ჩათვალე, შენი ოჯახის წევრებს ვერ ნახავ. ტყეშელაშვილი აქედან რომ გავა, მე უნდა დავრეკო. თუ არ დავრეკავ, ესე იგი „გამშმონეს“. რაც გინდა, მოიფიქრე. „ობშიაკის“ დაკარგვას სიკვდილი მირჩევნია, ამ სპეცრაზმსაც თავს შევაკლავ და შენ ეს იცი...

ზონის უფროსს ცივმა ოფლმა დაასხა. პატიმრების ჩხრეკა უკვე დაწყებული იყო და სპეცრაზმელები დაძაბულები იდგნენ, ტყეშელაშვილი კი ბოლო ხმაზე ყვიროდა, მაყურებელი მომიყვანეთ, პირადად უნდა გავჩხრიკოო. დათამ ერთ-ერთ პატიმარს თვალი ჩაუკრა და ისიც ტყეშელაშვილს ეახლა — მაყურებელი მე ვარო.

— ჩაიხადე! — უბრძანა ტყეშელაშვილმა და პატიმარმაც მხიარულად ჩაიწია. მინისტრის მოადგილემ ამაყად მიმოიხედა, მერე კი ზონის უფროსს გახედა და მიახალა — ხედავ, როგორ უნდა ამათთან მოქცევა?!

სპეცდანიშნულების რაზმმა ტერიტორია სამი საათის შემდეგ დატოვა. დათას გარდა ყველა პატიმარი გაჩხრიკეს და რამდენიმე ტომარა მობილური გააყოლეს ხელს. საღამოს კი თავად ზონის უფროსს მიჰქონდა „ობშიაკი“ დანიშნულების ადგილას და იქ მისულს ათი ათასი მშვიდად ჩაუთვალეს.

დათა პატიმრობიდან 2012 წელს გათავისუფლდა და თავი მოსკოვს შეაფარა. მას გარდაცვლილი პოლიციელების ოჯახის წევრები დღემდე ემუქრებიან.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲗᲐᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6				2	9			1
		1			8			
			1			3		5
					2		6	
8		5		6		2		7
	7		5					
5		9			1			
			4			8		
4			2	8				3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	1	7			5		2	9
			1					
8				3	2			
		8	4		3	1		
6								7
		2	5		7	8		
			7	9				4
					1			
9	7		3			6	1	

ᲠᲗᲣᲚᲘ

	6							
9		4	3					
		5	4			6		
6		1		9				3
4			8		6			1
7				4		2		9
		6			1	9		
					5	3		4
							1	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		2						3
6	7						1	
	1		4	2				
4		3			1		6	
		6		4		9		
	5		9			4		2
				1	5		9	
	4						8	6
8						5		

ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲞᲣᲠᲘᲗ ᲘᲒᲘᲓᲐᲕᲓᲜᲔᲑᲘ

იტალიის ქალაქ ტურინში სამართალდამცავებმა ერთ-ერთი საცხობის მფლობელები დააკავეს, რომელთაც ნარკოტიკებით ვაჭრობაში დასდეს ბრალი. 51 წლის მიქელანჯელო ალესიო და 22 წლის ალესანდრო მანჩინი საცხობთან არსებულ მაღაზიაში კოკაინს პურში მალავდნენ და ისე ყიდდნენ. როგორც განაცხადეს, ადრე პატიოსნად ვაჭრობდნენ, მაგრამ ახლა ლამის გაკოტრების პირას არიან და კლიენტების მოზიდვის ახალი გზების ძიება დაიწყეს. დაკავებული იტალიელების თქმით, მარტო პურ-ფუნთუშეულის ასორტიმენტის გაფართოებამ ვაჭრობა ვერ გააუმჯობესა, ამიტომ იძულებულნი გახდნენ, ნარკოტიკის გაყიდვა დაეწყოთ. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, პოლიცია მაღაზია-საცხობის საქმიანობით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც იქ ყოველდღიურად საეჭვოდ დიდი რიგი დგებოდა.

„ნაჩუქარი“ თირკმელის დაბრუნებას ითხოვს

ამერიკელი ქირურგი რიჩარდ ბატისტა, რომელმაც რვა წლის წინ ავადმყოფ მეუღლეს საკუთარი თირკმელი გადაუნერგა, განქორწინების შემდეგ ორგანოს უკან ითხოვს. ბატისტამ ყოფილი ცოლი გასული საუკუნის 80-ან წლებში გაიცნო, როცა მასთან მედდად მუშაობდა. 1990 წელს იქორწინეს და სამი ქალიშვილიც ჰყავთ. როცა ცოლი ავად გახდა, რიჩარდი, მისივე თქმით, მაშინვე დათანხმდა დონორობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი მტკიცე აღარ იყო. ქორწინების გადარჩენა ვერ შეძლეს. გამოჯანმრთელებული ცოლი ბატისტას ღალატობდა, საყვარელი ჰყავდა და განქორწინებაც მოითხოვა. ქირურგის ადვოკატის თქმით, მართალია, მისი კლიენტი თირკმელს ითხოვს, მაგრამ კომპენსაციაზეც თანახმა იქნება, თუკი 1,5 მილიონ დოლარს გადაუხდიან. ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ ბატისტა წარმატებას ვერ მიაღწევს, რადგან კანონით, დონორული ორგანო საჩუქრად ითვლება და მის დაბრუნებას ქირურგი ვერ შეძლებს.

სომალელ ქალებს ბიუსტჰალტერისთვის სჯიან

აფრიკული ისლამისტური დაჯგუფება „ელ-შაბააბი“ საჯაროდ როზგავს ქალებს, რომლებიც ბიუსტჰალტერს ატარებენ. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, დაჯგუფების ბოევიკები სუსტი სქესის წარმომადგენლებს ქუჩაში აჩერებენ და ამოწმებენ, რა აცვიათ ჩადრის ქვეშ. ვისაც თეთრეულის ზედა ნაწილი აღმოაჩნდება, ბაზრობის მოედანზე საჯაროდ როზგავენ, ლიფს კი წვავენ. ამ აქციებით „ელ-შაბააბი“ სომალის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებს, შარიათის მკაცრი ვერსიის დამყარებას ცდილობს. რამდენიმე დღის წინ ორ ახალგაზრდას, რომლებიც ქურდობაში იყვნენ შემჩნეულნი, ხელ-ფეხი მოკვეთეს, ნებისმიერი მამაკაცი კი, რომელიც წვერს არ ატარებს საჯაროდ გაროზგვას ექვემდებარება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	7	4	5	6	2	3	1	9
5	6	3	4	1	9	8	2	7
2	1	9	3	8	7	6	5	4
4	3	8	6	7	5	2	9	1
1	9	2	8	3	4	7	6	5
7	5	6	2	9	1	4	8	3
3	8	7	1	5	6	9	4	2
9	4	1	7	2	8	5	3	6
6	2	5	9	4	3	1	7	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	3	5	1	9	8	7	4	6
6	8	4	7	5	3	2	9	1
1	9	7	2	6	4	5	3	8
5	7	8	6	3	9	1	2	4
4	6	3	5	1	2	9	8	7
9	2	1	4	8	7	6	5	3
3	1	6	9	4	5	8	7	2
8	5	2	3	7	1	4	6	9
7	4	9	8	2	6	3	1	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	9	3	1	5	4	2	7	8
7	5	2	9	6	8	1	4	3
4	1	8	3	2	7	5	9	6
5	8	6	7	4	9	3	1	2
2	4	1	8	3	6	9	5	7
3	7	9	2	1	5	8	6	4
8	2	7	6	9	1	4	3	5
1	6	5	4	8	3	7	2	9
9	3	4	5	7	2	6	8	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	2	6	3	1	9	8	7	4
4	9	1	2	7	8	6	5	3
3	8	7	6	5	4	9	2	1
2	5	3	1	9	7	4	8	6
1	7	4	8	6	5	3	9	2
9	6	8	4	3	2	5	1	7
7	4	5	9	2	6	1	3	8
8	3	2	5	4	1	7	6	9
6	1	9	7	8	3	2	4	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	5	4	7	6	9	3	2	8
3	2	9	8	5	1	7	6	4
8	6	7	2	4	3	9	5	1
9	4	5	6	7	2	1	8	3
2	1	8	5	3	4	6	9	7
7	3	6	1	9	8	5	4	2
6	9	3	4	2	7	8	1	5
5	8	2	3	1	6	4	7	9
4	7	1	9	8	5	2	3	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	5	4	3	8	2	1	9	7
3	2	1	9	7	6	8	5	4
9	8	7	1	5	4	6	3	2
4	7	3	8	2	1	5	6	9
2	1	9	7	6	5	4	8	3
5	6	8	4	9	3	7	2	1
7	9	2	6	4	8	3	1	5
1	4	6	5	3	9	2	7	8
8	3	5	2	1	7	9	4	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	7	6	1	5	3	9	4	2
4	3	5	2	9	7	6	1	8
2	9	1	6	4	8	7	5	3
3	6	4	9	8	5	2	7	1
9	2	8	7	1	6	5	3	4
1	5	7	4	3	2	8	9	6
7	4	3	8	2	9	1	6	5
6	1	2	5	7	4	3	8	9
5	8	9	3	6	1	4	2	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	5	7	4	3	9	2	1	8
4	1	2	5	8	7	9	6	3
9	8	3	2	6	1	5	7	4
3	2	4	8	1	6	7	9	5
1	9	8	7	5	4	3	2	6
7	6	5	9	2	3	4	8	1
8	7	6	3	9	5	1	4	2
5	4	1	6	7	2	8	3	9
2	3	9	1	4	8	6	5	7

მე-10 გვერდი: 1. შეიკერი; 2. „ეგმონტი“; 3. კლიო; 4. რეიგანი; 5. ევლოგია; 6. ვესპასიანე; 7. ოინი; 8. ინძაგი; 9. ამბიცია; 10. უაილდი; 11. აიკიდო; 12. იარა; 13. პაი; 14. ასანიძე; 15. პინტა; 16. ამორელი; 17. აგა; 18. ანუ; 19. პან; 20. ნარიტა; 21. სიამი; 22. სკოლა; 23. კიი; 24. კარეტა; 25. დედა; 26. ატამი; 27. რიო; 28. მწვანე; 29. კვიცი; 30. კინტო; 31. უნარი; 32. ივანე; 33. გო; 34. კეტი პერი; 35. ირავადი; 36. ეტა; 37. ლელი; 38. ოტიტი; 39. მწდე; 40. ტრაიანე; 41. ანუკ; 42. ქიმი; 43. ავლაბარი; 44. ვენა; 45. ნარი; 46. იზა; 47. აია; 48. პედიკიური; 49. ერ; 50. ირა; 51. ური; 52. ჰობი; 53. ბობ; 54. ჭიამაია; 55. სია; 56. ჭერი; 57. ინკი; 58. კილტი; 59. ფა; 60. აკინაკი; 61. წუა; 62. ჰილზი.

მე-12 გვერდი: 1. ლაპერუზი; 2. პროპანი; 3. ლილიპუტია; 4. პალინდრომი; 5. რეალია; 6. რეზერვაცია; 7. პლასტილინი; 8. ნები; 9. „კლელია“; 10. ინარი; 11. კრამიტი; 12. ზღარბი; 13. იმიტაცია; 14. ანდამატი; 15. პინკი; 16. ნომი; 17. რეტი; 18. ტუნდრა; 19. შმორი; 20. აუტი; 21. ტარა; 22. არლი; 23. ალიდადა; 24. ქვა; 25. ანგარი; 26. ანუი; 27. ბმო; 28. ტაიმი; 29. მდადე; 30. ვალეტი; 31. არიცია; 32. ობელისკი; 33. ელამი; 34. ინგა; 35. ნერუ; 36. „ფიორენტინა“; 37. სიომა; 38. დრო; 39. კამბალა; 40. ალა; 41. შადე; 42. ანფასი; 43. დაიმი; 44. იარდი; 45. ნანა; 46. ლარი; 47. კოლონტაი; 48. დაე; 49. ატესტატი; 50. სოდა; 51. ამალთეა; 52. ბაობაბი; 53. მარანი; 54. აგულიასი; 55. თამრო; 56. იტი; 57. მანერა; 58. სავაში; 59. ალაო; 60. ასი; 61. პა; 62. „ულისე“; 63. სკა; 64. „სააბი“; 65. იმანი; 66. თხა; 67. მანტია; 68. ნოტა; 69. სიტრო; 70. ალი; 71. თავთავი; 72. ტლუ; 73. ნოა; 74. „მაიბახი“; 75. ვო; 76. ამბრი; 77. ბონსაი; 78. სომოსა; 79. სოს; 80. ავრალი; 81. ტაო; 82. ფლავი; 83. არია; 84. ბუი.



1.ჰამლეტის მეგობარი შექსპირის დრამაში
2. ფიზიკის ნაწილი
3. უარყოფითად დამუხტ. ნაწილაკი
4.აპრილის ძველქართ. სახელწოდ.
5. ალპინისტის ფეხსაცმელი
6. აღორძინების ხანა
7. რომის იმპერატორი
8. დედალი ღორი
9.გრძელ დისტანციაზე მორბენალ სპორტსმენი
10. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი
11. იგივე, რაც თილისმა
12. ფრთოსანი მწერის განვით. სტადია
13. კვლევის ერთ-ერთი ხერხი
14. ალ. ბუვიეს ცნობილი რომანი
15.დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე
16. „ისტორიის მამა“
17. სკვითების მახვილი
18.ალოეს ქართული სახელწოდება
19. შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალი
20.მეფე არტურის სასახლე
21. ჰოლანდიური ლუდის მარკა
22. მამის და
23.გერმ. ფიზიკოსი
24. გვაროვნული თემი ირლანდიაში
25. ქრისტეს ჯვარცმის ადგილი
26.იაპონ. პოეზიის ჟანრი
27. იაპონელთა ეროვნული სამოსი
28. მსახიობი ... კრუზი
29. ბგერის „მთრთოლვარედ“ დაკვრა
30. წყალქვეშა ჭურვი
31. სუსტი ქარი
32. ადმინისტ. ერთ. მონღოლეთში
33.ტკაცის ჭურჭელი სითხისათვის
34. ყვითელი მინერალ. საღებავი
35.დამატებითი ტაიმი სპორტში
36. სოფელი თუშეთში
37. ამერიკელი პოეტი
38. მთები ალპების მთათა სისტემაში
39.სამხალე მცენარე
40. ... კილმერი
41.მსახიობი აიშვარია ...
42. ერთ-ერთი მშობელი
43. შიშველი სხეული ფერწერაში
44.ცეცხლის ენა
45.ობამას ძაღლი
46. კრემიანი ნამცხვარი
47.მუს. გამის V ნოტი
48. II ნოტი
49.უზბეკი პოეტი
50.მაიკ ტაისონის „პროფესია“
51. შავი მინერალი, ქვანახშირის ნაირსახეობა
52. იაპონური თეატრის სახეობა
53. ტოკიოს ძველი სახელწოდ.
54.სახელმწიკაეშირი
55.რუსეთის პარლამენტი
56. გზა - ლათინურად
57.კანად. მომღერალი ქალი
58.ჩინურ-იაპონური შაში
59.ჩვილი ბავშვის I სიტყვა
60.ერეკლე II-ის ერთ-ერთი ვაჟი
61.სასიძოს გადასახადი საცოლის მშობლებ.

თვითმკვლელობის რისკი დაბადებას უკავშირდება



თვითმკვლელობის მცდელობის რისკი მნიშვნელოვნად იზრდება მამაკაცებში, რომელთა სხეულის მასა და სიგრძე დაბადებისას მცირეა. რისკი არც მაშინ მცირდება, როცა ბავშვობის ასაკში ეს მაჩვენებელი ნორმალური ხდება, — ასკვნიან შვედი სწავლულები. მონაცემთა ანალიზის შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ის ახალშობილები, რომელთა სიგრძე დაბადებისას 47 სმ-ზე ნაკლები იყო, ორჯერ ხშირად მიმართავდნენ მოზრდილ ასაკში თვითმკვლელობის მცდელობას, ვიდრე დაბადებისას 50-51 სმ სიგრძის მქონე ბავშვები. გამოკვლევის ავტორთა თქმით, ასეთი შედეგები შეიძლება აიხსნას სეროტონინის დაბალი დონით. ამ ჰორმონის დაქვეითებული დონე ხელს უწყობს აგრესიულობას, იმპულსურობასა და სუიციდისკენ მიდრეკილებას. ორსულობის მესამე ტრიმესტრში მავნე ფაქტორების მოქმედებამ (ცუდი კვება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება) შეიძლება ნაყოფის ზრდა შეაფერხოს და სეროტონინის მეტაბოლიზმი დაარღვიოს, — აცხადებენ სკანდინავიელი მეცნიერები.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

საქორწინო ტორტის გამო იჩივლეს

ახალდაქორწინებულმა წყვილმა ბრიტანეთის ქალაქ ლანელიდან ფულადი კომპენსაცია მიიღო საკონდიტროსგან, სადაც საქორწინო ტორტი შეუკვეთეს. ის პოლისტიროლისგან — მყარი პოლიმერული პლასტიკისგან „გამოაცხვეს“. ტონი და ემი უესტების თქმით, ფირმას სამფენიანი ბისკვიტის ტორტი შეუკვეთეს, რომელიც თეთრი და შავი შოკოლადით, მინანქრის ყვავილებით უნდა ყოფილიყო მორთული. წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როცა საზეიმო წუთებში ტორტის გაჭრა დააპირეს და აღმოაჩინეს, რომ შოკოლადის სქელი ფენის ქვეშ პლასტმასის კონსტრუქცია იდო. დიდი სირცხვილი ვჭამეთ სტუმრების წინაშე, — ამბობენ ახალდაქორწინებულები, — მით უმეტეს, რომ ტორტში 430 დოლარი გვქონდა გადახდილი. როგორც გაირკვა, კონდიტერებს ტორტი დაავიწყდათ და გამოსავალი პლასტმასში ნახეს. ახალგაზრდებს ამ ფაქტმა ხასიათი და საბოლოოდ ქორწილიც გაუფუჭა. მათ სასამართლოს მიმართეს და კომპენსაციად საკონდიტროსგან 505 დოლარი მიიღეს. გარდა ამისა, ფირმამ მათ ტორტში გადახდილი თანხაც უნდა დაუბრუნოს.

ყველაზე არამეგობრულები ბრიტანელები არიან

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დღეს ადამიანები მსოფლიოში სულ უფრო ნაკლებად ურთიერთობენ, ნაკლებად გულღიები არიან და მეზობლებსაც კი არ იცნობენ. ევროპაში ჩატარდა კვლევა იმის გასარკვევად, რომელი ერია ყველაზე არამეგობრული როგორც თანამემამულეების, ასევე უცხოელების მიმართ. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ ლიდერები ნისლიანი ალბიონის მაცხოვრებლები არიან და საამისოდ ბრიტანელებს უამრავი მიზეზი აქვთ: ჯერ ერთი, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა — კონტინენტიდან დაშორება, რის გამოც ინგლისელებს განსხვავებული მენტალიტეტი ჩამოუყალიბდათ. ერის ერთიანობაზე გავლენას ისიც ახდენს, რომ სულ უფრო მეტი ბრიტანელი სწავლობს ან მუშაობს ქვეყნის გარეთ. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, განქორწინების დიდმა რაოდენობამ და ემიგრაციამ მხოლოდ გააუარესა ალბიონის მცხოვრებთა კომუნიკაცია.

სუდოკუ

ადვილი

					3		9	
	7	6	4			1		
	9		8	7				
1				4	7	2		
			9		1			
		3	6	5				8
				3	8		2	
		8			4	9	7	
	2		7					

სტანდარტი

	7			1			5	2
			9					
	5	4						
	6				7		9	4
5		8	6		9	7		1
9	1		3				6	
						6	2	
					4			
3	2			6			7	

რთული

6			3	9				
2	1		8				5	
		7						
	3		2	5			4	
8				6				2
	2			8	4		3	
						5		
	8				1		6	4
				2	7			3

ექსპერტი

3		4	5	7				
7							8	
		9	8		3	7		
		3	6				9	8
6	4				7	3		
		7	2		9	8		
	5							7
				1	6	2		4

მზეს აბებით ყიდიან

საფრანგეთში გასაყიდად გამოვიდა უჩვეულო და ორიგინალური პრეპარატი, რომელიც მზეს წარმოადგენს აბებში, არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. „პრეპარატი“ კაფსულაა, მასში კი მზის შუქია სეიშელიდან, ბორა-ბორადან და ეგზოტიკური ბაჰამისა და მალდივის კუნძულებიდან. აბებს ინსტრუქციაც ახლავს, რომელშიც წერია, რომ სტრესისა და დეპრესიისგან განკურნებისთვის სულაც არ არის საჭირო ცხრა ზღვას იქით, ეგზოტიკურ კუნძულებზე დასასვენებლად გამგზავრება. შუქი, რომელიც სწორედ სასწაულ აბებშია მოქცეული, ამ დაავადებებისგან კურნავს. გარდა ამისა, შეფუთვაზე მითითებულია პრეპარატის მოხმარების ვადა და მიღების დოზებიც.

თვალის ფერის შეცვლა ისწავლეს

ამერიკელი მეცნიერი გრეგ გომერი ზუსტად ათი წლის განმავლობაში მუშაობდა თვალის ფერის შეცვლის ტექნოლოგიაზე, რაც წარმატებით დაასრულა. ახლა სულ რაღაც 20 წამის განმავლობაში, ლაზერის მეშვეობით, ყავისფერი თვალის მქონე ადამიანი ცისფერთვალა გახდება, „ფოკუსი“ კი იმაში მდგომარეობს, რომ მუქი ფერის თვალის მქონე ადამიანებში დომინირებს მუქი პიგმენტი მელანინი. დოქტორი ოპერაციისას თვალის გარსის ზედაპირიდან სწორედ ამ პიგმენტის ფენას აცლის. შედეგად იცვლება თვალის ფერი, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი შეუქცევადია — ცვლილება მხოლოდ ერთ მხარეს ხდება და ამ ოპერაციის შემდეგ თვალის ადრინდელი ფერის დაბრუნება უკვე შეუძლებელი იქნება.



ნასვამ მძღოლს 60 წელი მიუსაჯეს



53 წლის ამერიკელ ენტონი ფოლკოს ტეხასის შტატიდან 60 წლით პატიმრობა იმის გამო მიუსაჯეს, რომ ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისას მეათედ დაიჭირეს, თუმცა მძღოლი თავს დამნაშავედ არც ამჯერად სცნობს. საგზაო პოლიციის მონაცემებით, მამაკაცი ბოლოს მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვისას შარშან, ივნისში დააკავეს. მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რადგან ამავე დანაშაულისთვის არაერთხელ იყო ნასამართლევი. ფოლკო სასჯელს იხდიდა ასევე ქურდობისთვის, დოკუმენტების გაყალბებისა და სხეულის განზრახ დაზიანების ბრალდებით.

რა ვნიცა საჭირო ბედნიერი ქორწინებისთვის?

ამერიკელმა მეცნიერებმა მათემატიკური ფორმულა გამოიყვანეს, რომელიც 94%-იანი სიზუსტით გინინასწარმეტყველებთ, დაქორწინებული წყვილი დარჩება ერთად თუ დაშორდება. ფორმულის ერთ-ერთი ავტორის თქმით, ნაშრომი საკმაოდ მაღალი ალბათობის სიზუსტით პროგნოზირებს, ქორწინება ბედნიერი იქნება თუ არა. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე წუთით დაკვირვება, როგორ განიხილავს ცოლ-ქმარი საკამათო საკითხს, რომელიც, მაგალითად, ფულს, ბავშვის აღზრდას ან დასასვენებლად წასვლას ეხება. მეცნიერები აცხადებენ, რომ დადებითი და უარყოფითი პასუხებისა და პარტნიორებს შორის სიგნალებისთვის გარკვეული ქულები იწერება, რომელთა მიხედვითაც სპეციალისტები გამოთვლიან ფორმულას და შედეგად დაასკვნიან, ქორწინება მტკიცე იქნება თუ არა. მეუღლეებს შორის ხუმრობა, კეკლუცობა, ღიმილი და ნაზი ჟესტები დადებით სიგნალებად ითვლება, უარყოფითს კი სარკაზმი, თვალების „დაქაჩვა“ და სხვა ჟესტები მიეკუთვნება. სწავლულების თქმით, პასუხების იდეალური თანაფარდობაა — ხუთი დადებითი სიგნალი ერთი უარყოფითის წინააღმდეგ, ნებისმიერ წყვილს კი, რომელიც ასეთ ქულებს ვერ მოაგროვებს, უსიამოვნება ელის.

ჩინეთში ტატუირებული თევზები მომრავლდნენ

ჯერ კიდევ იმპერატორების პერიოდიდან ჩინეთში სავალდებულოდ ითვლებოდა, მდიდარი ადამიანის სამფლობელოში, ყოველ საგუბარსა თუ ბაღის აუზში ოქროს თევზების ყოლა. ლეგენდის თანახმად, მათ პატრონისთვის კეთილდღეობა, წარმატება, დღეგრძელობა და ჯანმრთელობა მოჰქონდათ. დღეს წარმატების მოპოვების მსურველები ცდილობენ, აკვარიუმები არა უბრალოდ ოქროს, არამედ ტატუირებული თევზებით დაამშვენონ, რაც თურმე, ცხოვრებისეული სიკეთის აღმნიშვნელი ყოფილა. ზოომაღაზიების გამყიდველების თქმით, ყველაზე მეტად კლიენტები იეროგლიფებით დამშვენებულ თევზებს ითხოვენ, რაც სიმდიდრესა და წარმატებას ნიშნავს. ისინი ყველაზე პოპულარული ფენ-შუის მიმდევრებშია. სამწუხაროდ უცნობია, რა გზით უკეთებენ თევზებს წარწერებს — ამას ჩინელები საიდუმლოდ ინახავენ.

საზოგადოებრივი ტუალეტი ძაღლებისთვის

ესპანეთში, კატალონიის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებმა ნამდვილი ომი გამოუცხადეს ძაღლების მფლობელებს, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში არ ზრუნავენ ოთხფეხა მეგობრების ფეკალიებისგან საზოგადოებრივი ადგილების გაწმენდაზე. აღსანიშნავია, რომ ამ „ომს“ სერიოზული შედეგი მოჰყვა — ქალაქ ელ-ვენდრელში სპეციალური მოწყობილობები, ე.წ. ძაღლების საზოგადოებრივი ტუალეტები დააყენეს. მისი კონსტრუქცია მარტივია — როცა ძაღლი ბუნებრივ მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებს, ტუალეტი ავტომატურად იხურება. სიახლის ავტორებს იმედი აქვთ, რომ ძაღლები მიეჩვევიან „კულტურულად“ მოსაქმებას, თუ არადა პატრონს 750 ევროიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

1. „უდაბნოს ხომალდი“
2.ნაღვლის ბუშტის ანთება
3. ერთ-ერთი უძველესი სახნავი იარაღი
4.წერილის მოძველებული სახელწოდება
5. აგრონომის მაკრატელი
6. რომის ერთ-ერთი ბორცვი
7. ცხენის ჩლიქი
8. იესო ქრისტეს ნათლია
9. ჩადის დედაქალაქი
10. პატარა საზოგადოებრივი ბაღი ქალაქში
11. ჰარამხანის მსახური ქალი
12. საუდმი ნერვის ანთება
13. უფერო შხამიანი გაზი მწვავე სუნით
14. ბებერი მგელი ვაჟას შემოქმედებაში
15. საქონლის საკვები ბალახი
16.სამეგრელოს სამთავროს მეორე სახელწოდება
17. მალარიის კოღო
18. მომღერალ მინოუგის სახელი
19. ძველი ებრაელი წინასწარმეტყველი
20.ებრაული საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია
21.ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
22.ძველებ. სააფთიაქო წონის ერთეული
23. ქვეყანა არაბეთის ნახევარკუნძულზე
24. ეკვადორის დედაქალაქი
25. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი
26.მდინარე ციმბირში
27.მარიამ ღვთისმშობლის მამა
28.ფილტვების და გულის მოსასმენი ხელსაწყო
29.ქვემეხის ლულის დასამაგრებელი დაზგა
30. ფირი, რომელზეც ჩაწერ. უცხო ენის კურსი
31. ხალხთა გადასახლება
32.ატომის ბირთვის შემადგენელი ნაწილაკი
33. ცხელი ქარი სამხრეთ ევროპაში
34.ახლად გამორეკილი თევზი
35.ნაპოლეონის ძმა
36.მიზანში მსროლელი
37.ქართლის ერისთავი აბო თბილელის დროს
38.თაიგულის შეკვრის იაპონური ოსტატობა
39. საბჭოთა კავშირის აბრევიატურა
40. მოლიერის „ორნბაზი“ პერსონაჟი
41. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
42. ილია II-ის მშობლიური სოფელი
43. უშიშარაისძის სახელი „დიდოსტატის მარგვლენაში“
44. თავისუფლების კუნძული
45. პატარა ძაღლი, გოშია
46. მინიატურული იაპონური სკულპტურა
47. მეგობრობა ორ ან მეტ პარტიას შორის
48. ოფიცერი, რომელმაც დუელში პუშკინი სასიკვდილოდ დაჭრა
49. ადამიანი, რომელმაც დაიწყო ქალაქ ოდესის აშენება
50.პორტუგალიური მაგარი ღვინო
51.საბრძოლო მანქანა
52.დაბა აღმ. საქართველოში
53.ყველაზე გავრცელებული კბილის დაავადება
54. XX ს-ის ფრანგი დრამატურგი
55. ცეცხლსასროლი იარაღი
56. ქართველი რეპერი
57. იგივეა, რაც ზურნა
58.ჰელიოსის ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში
59. ფოსო თვალის ქვეშ
60.მომკილი თავთავის კონა
61. სამოას დედაქალაქი
62.ისტორიული ციხე-ქალაქი სამხრეთ საქართველოში, აბასთუმნის მახლობლად
63. მიწაში ამოთხრილი ადგილი
64. სმენის ორგანო
65. თმის მცენარეული საღებავი
66. გიტარის კორპუსის ნაწილი
67. ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე, დუნაის შენაკადი
68.თურქული ტელესერიალი „ქალბატონი ...“
69.XIII-ის ქართველი პოლიტიკოსი ქალი - ვაჟელი
70. იტალიური საწვავი
71. სპორტული შეჯიბრება ავტომობილებით ან მოტოციკლებით
72.ესპანელი დრამატურგი ... დე ვეგა
73. მუსიკალური ბგერის ნიშანი
74. იტალიის უდიდესი მდინარე
75. ორად გაყოფილი ქვეყანა აზიაში
76. ზეცის დედა
77.პარიზის აეროპორტი
78.ოტელოს მტერი
79. მობილური ტელეფონების მარკა
80. ორი სიბრტყის ურთიერთგადაკვეთის ადგილი გარედან
81. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
82.ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სხივი

შურისძიება საქორწინო თაიგულით

ყოფილმა შეყვარებულმა მიჯნურს ქორწილი ჩაუშალა და არ მისცა საშუალება, პირადი ბედნიერება აეწყო. შურისმაძიებელი მამაკაცი წყვილს ქორწილში მიადგა, საპატარძლოს თაიგული მიართვა, რომელშიც სიძემ, ე.წ. ფლეშკა აღმოაჩინა. მას ბევრი არ უფიქრია, ის მაშინვე კომპიუტერში შეარჭო და ინტიმური სურათები იხილა, რომელზეც მისი რჩეული ყოფილ შეყვარებულთან ერთად იყო აღბეჭდილი. წყვილის ქორწინება რეკორდულად ხანმოკლე აღმოჩნდა — რამდენიმე საათის შემდეგ ახალდაქორწინებულები განქორწინდნენ.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.